

ანა ჩაკვეტაძე

დაკავების სტანდარტი სისხლის სამართლის პროცესში და მისი
შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან

წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის პროექტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2021

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა:

თარიღი:

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ანა ჩაკვეტაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო
ნაშრომის პროექტს: **დაკავების სტანდარტი სისხლის სამართლის პროცესში და მისი
შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან და მზად არის დასამტკიცებლად.**

ხელმძღვანელი: ბესიკ მეურმიშვილი

თარიღი:

რეზიუმე

ადამიანის უფლებებს რთული, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელიც მთელი ამ დროის მანძილზე ინდივიდუალური უფლებებისთვის ბრძოლას უკავშირდება. საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კონსტიტუციის შესაბამისად, ორიენტირებულია ადამიანის უფლებათა დაცვისა და, კერძოდ, დაკავების ინსტიტუტის სამართლებრივი რეგლამენტაციის თანამედროვე სტანდარტზე. მიუხედავად სამართლებრივად დაცული სიკეთისა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მასში ჩარევას ითვალისწინებს როგორც საქართველოს უზენაესი კანონი, ასევე საერთაშორისო დოკუმენტები. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა შორის, ცენტრალური ადგილი ადამიანის ფუნდამენტური უფლების პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი თავისუფლების ხელმყოფ ღონისძიებას-პირის დაკავებას ეთმობა, რომელიც რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლით. ნებისმიერი ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვა - დაკავება, როგორც უკიდურესი ღონისძიება უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მაშინ როდესაც ალტერნატიული გზებით მიზანი ვერ მიიღწევა. ამიტომ მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ როგორი შემთხვევა წარმოადგენს უკიდურეს აუცილებლობას და რა საფუძვლის არსებობისას, ვის და რა შემთხვევებში შეუძლია პირს აღუკვეთოს თავისუფლება და რა ვალდებულებები ეკისრება სახელმწიფოს - პირის დაკავებისას. დაკავებისა და პატიმრობის შესახებ არსებული სტანდარტები წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის გარანტს და ამავდროულად იცავს დაკავებულსა და პატიმრობაში მყოფ პირს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან. სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია დაკავების, როგორც ეროვნული სასამართლოების მიერ დაწესებული საფუძვლების, წესებისა და სტანდარტების პროცედურული ხასიათი, ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

Resume

Human rights have a complex, centuries-old history that, this time, is associated with the struggle for individual rights. Georgian Criminal Procedure Code in force, by the Constitution, is focused on the modern standard of legal regulation of the Institute of Human Rights and Detention. Despite the legally protected good, it is not an absolute right and can be interfered with by the supreme law of Georgia and international documents. Among the measures of criminal procedural legal coercion, the central place is devoted to the detention of fundamental human rights dedicated to the arrest of a person, which is regulated by Article 170 of the Criminal Procedure Code of Georgia. Restriction of the right to liberty of any person – detention or arrest as an extreme measure should be provided in cases by law when the goal can not be achieved through alternative means. It is essential to determine what kind of case is an extreme necessity, on what grounds, by whom, and in what circumstances a person can be deprived of liberty, and what are the state's obligations when detaining a person. Existing standards of detention and imprisonment provide a guarantee of legal protection. At the same time, it protects the detainee from torture and other ill-treatment.

The master's thesis analyzes the grounds for detention as established by national courts, the procedural nature of rules and standards, and the European Protection of Human Rights and Fundamental Freedoms practiced by the European Court of Human Rights.

სარჩევი

შესავალი

I. თავისუფლების უფლება

1.1 თავისუფლების უფლება

1.2 პიროვნების თავისუფლება, ევროპული კონვენციის მიხედვით

II. პირის დაკავების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები

2.1 დაკავების არსი

2.2 დასაბუთებული ვარაუდი რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული

2.2.1 პირის მიმალვისა და სასამართლოში არ გამოცხადების საფრთხე

2.2.2 საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხე

2.2.3 ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე

2.3. შუამდგომლობა პირის დაკავების შესახებ და განჩინების

სამართლებრივი მოქმედება

2.4 პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე

III. დაკავების წესი

3.1. დაკავებაზე უფლებამოსილი პირები

3.2 დაკავებისას სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები პირი

3.3 იმუნიტეტის მქონე პირების დაკავების წესი

3.4 არაიდენტიფიცირებული პირის დაკავების წესი

4. დაკავების პროცედურა

4.1 დაკავების საფუძვლის შეტყობინება

4.2 დაკავების ოქმი

4.3 დაკავების ვადა

IV. დაკავების წესი ევროპული სტანდარტებით

4.1 დაკავებასთან დაკავშირებული სტანდარტები ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად და მისი შედარება ეროვნულ კანონმდებლობასთან

4.2 დაკავების წესი ანგლო-ამერიკული სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში

5. სტატისტიკური ანალიზი დაკავებულ პირთა შესახებ

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა შორის, ცენტრალური ადგილი უჭირავს ადამიანის ფუნდამენტური უფლების პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი თავისუფლების მეტად უხეშად ხელმყოფ ღონისძიებას-პირის დაკავებას. საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს დაკავებასთან დაკავშირებულ ძირითად დებულებებს, ხოლო უფრო დეტალურად აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კონსტიტუციის შესაბამისად, ორიენტირებულია ადამიანის უფლებათა დაცვისა და, კერძოდ, დაკავების ინსტიტუტის სამართლებრივი რეგლამენტაციის თანამედროვე სტანდარტზე. მიუხედავად ასეთი მაღალი რანგის სამართლებრივად დაცული სიკეთისა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მასში ჩარევას ითვალისწინებს როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე საერთაშორისო დოკუმენტები. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურდება მისი დაპატიმრების აუცილებლობა.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის ანალიზი, რომელიც აწესებს სტანდარტებს პირის მართლზომიერი დაკავებისთვის. როგორც საერთაშორისო პრეცედენტული სამართალი ასევე ეროვნული კანონმდებლობა აცხადებს, რომ პირის დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისად ნაშრომში მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა შემთხვევა წარმოადგენს უკიდურეს აუცილებლობას და რა საფუძვლის არსებობისას შეიძლება პირის დაკავება. აგრეთვე, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ თუ ვის და რა შემთხვევებში შეუძლია პირს აღუკვეთოს თავისუფლება და რა ვალდებულებები ეკისრება სახელმწიფოს - პირის დაკავებისას.

დაკავება და წინასწარი პატიმრობა, ხშირად შეუქცევადი უარყოფითი შედეგების გამო, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, უნდა გამოიყენებოდეს არა როგორც წესი, არამედ როგორც გამონაკლისი. დაკავება ლეგიტიმურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავება აუცილებელი და თანაზომიერია პირის მიმალვის, მის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის, ან მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის თავიდან ასაცილებლად საპროცესო წარმოების დროს. დაკავებისა და პატიმრობის შესახებ არსებული რიგი სტანდარტებისა, თავის მხრივ, წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის გარანტს და ამავდროულად იცავს დაკავებულსა და პატიმრობაში მყოფ პირს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან. მათ შორისაა: დაცვა თვითნებური დაპატიმრებისგან; დაუყოვნებელი ინფორმირება დაკავებისა და პატიმრობის საფუძვლების შესახებ; დაკავების დაუყოვნებელი რეგისტრაცია, საფუძვლების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მითითებით; სამართალდამცავებისა და დაკავების ადგილის იდენტიფიცირება; მოსამართლისადმი დროული წვდომა; სასამართლო პროცესი დაყოვნების გარეშე; უდანაშაულობის პრეზუმფცია; წინასწარპატიმრობაში მყოფი პირების მსჯავრდებული პატიმრებისგან განცალკევება; პატიმრობის ლეგიტიმურობის სისტემატიური გადახედვა; გარე სამყაროსთან კონტაქტი, მათ შორის, დამოუკიდებელი ექიმების ხელმისაწვდომობა და ოჯახური ვიზიტები/პაემნები.¹

ნაშრომის კვლევის მიზანია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული, იძულების ღონისძიების-დაკავების მკაფიო ანალიზი და შესწავლა, საერთო სასამართლოების, საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული სტანდარტების მიხედვით. ადამიანის

¹დაკავების მონიტორინგის ინსტრუმენტი-ფაქტების ფურცელი (მეორე გამოცემა): წინასწარი პატიმრობა, რისკფაქტორებთან გამკლავება წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის, 2015 - [ფაქტების-ფურცელი-წინასწარი-პატიმრობა.pdf](http://penalreform.org) (penalreform.org) (ბოლოს ნანახია 25.06.2021)

ფუნდამენტური უფლების-თავისუფლების განსაზღვრა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კვლევის საფუძველზე; ყოველივე ზემოთ ხსენებულის ანალიზი, საქართველოს კანონმდებლობასთან შედარება და კანონმდებლობაში არსებული, აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანი ხარვეზების გამოვლენა.

საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით ნაშრომში გამოყენებულია დესკრიფციული კვლევის მეთოდი, რაც ნათელს ხდის საკვლევი თემის მასშტაბურობას; ანალიტიკური კვლევის მეთოდი ფუნდამენტურად შეისწავლის ამოცანას; შედარებით სამართლებრივი კვლევა, ხელმისაწვდომ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შექმნის აქტუალური პრობლემის სრულ სურათს. დედუქციური მეთოდით კი გამოიყოფა საერთო პრინციპები და დადგინდება კონკრეტული მოვლენის ფაქტობრივი სინამდვილე.

ნაშრომი სტრუქტურულად შედგება შესავლის, დასკვნის, ოთხი თავისა და ოცი ქვეთავისაგან. პირველ თავში განხილულია ადამიანის ფუნდამენტური უფლება - თავისუფლების უფლება ევროპული კონვენციის მიხედვით. მეორე თავი სრულებით ეთმობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დაკავების საფუძველებს, სადაც დაწვრილებით არის განხილული ყველა პროცედურული საკითხი საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით. მესამე თავში აღწერილია დაკავების წესი, დაკავებაზე უფლებამოსილების მქონე პირთა მუშაობის სპეციფიკა, დეტალურად არის განხილული დაკავებულ პირთა სამართლებრივი გარანტიები და კანონიერი დაცვა ძალოვანი სტრუქტურების თვითნებობისაგან. მეოთხე თავი მოიცავს, როგორც ეროვნული, ისე ევროპული სტანდარტების მიხედვით დაკავების წესს, ევროკონვენციის მე-5 მუხლზე დაყრდნობით, ქართულ სამართლებრივ პრაქტიკასთან შედარებით.

I. თავისუფლების უფლება

1.1 თავისუფლების უფლება

ადამიანის უფლებებს რთული, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელიც, კაცობრიობის განვითარების სხვა და სხვა, ეტაპზე აბსოლუტური ძალაუფლების შეზღუდვის, ხელისუფლების დანაწილებისა და დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზით, ინდივიდუალური უფლებებისთვის ბრძოლას უკავშირდება². დღეისათვის, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები აღიარებული და უზრუნველყოფილია არა ერთი საერთაშორისო კონვენციითა და დეკლარაციით. ისევე როგორც ყველა სხვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციები, ადამიანის უფლებებს აღიარებს და უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციაც (2020 წლის 29 ივნისის მდგომარეობით). კონსტიტუციის მე-13 მუხლის თანახმად, “სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს”³.

დაკავებულ პირთა უფლებების ეფექტური დაცვა ნებისმიერი სამართლიანი სამართალწარმოების პროცესის წინაპირობაა. საქართველოს კონსტიტუცია, ასევე საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები თითოეული დაკავებული პირის სამართლებრივი დაცვის კონკრეტულ მექანიზმებს წარმოადგენს, აღნიშნული დოკუმენტებით გარანტირებული უფლებები მხოლოდ

² მოკლედ უფლებების შესახებ (myrights.gov.ge) - ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, 2017 (ბოლოს ნანახია 25.06.2021)

³ იქვე.

თეორიული ან ილუზორული არ არის, არამედ პრაქტიკული და ეფექტურია.⁴

1.2 პიროვნების თავისუფლება,ევროპული კონვენციის მიხედვით

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლში ასახული უფლება ფუძემდებლური ფასეულობაა და დემოკრატიულ საზოგადოებაში ბევრი სხვა უფლებისა და თავისუფლების სრული განხორციელების წინაპირობაა⁵. კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად: „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება.არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.“ მე-5 მუხლით ტერმინებს:თავისუფლების აღკვეთას;დაკავებასა და დაპატიმრებას დამოუკიდებელი კონვენციისეული მნიშვნელობა აქვს და ეროვნულ კანონმდებლობაში შესატყვისი ცნებები პრეცედენტული სამართლით მოცემული განმარტებებით დგინდება. „თავისუფლებაში“ იგულისხმება პირის ფიზიკური თავისუფლება, პირადი თავისუფლება კი მე-5 მუხლის თვალსაზრისით ნიშნავს დაკავების ან დაპატიმრების არარსებობას.დაკავებასა და დაპატიმრებასთან მიმართებით თვითნებობის წინააღმდეგ გარანტიას „უსაფრთხოება“ ეწოდება. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით კონვენციის მე-5 მუხლის მიზანია პირის დაცვა თავისუფლების აღმკვეთი ნებისმიერი ღონისძიებისას, კერძოდ თვითნებობისაგან.მნიშვნელოვანია არა მარტო „თავისუფლების უფლების“ დაცვა,ასევე „უფლება პირად უსაფრთხოებაზეც“.⁶

დაკავების ან დაპატიმრების სამ ალტერნატიულ დასაბუთებას ვხვდებით ევროპის სასამართლოს დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალში, რომლის „მიზანია პირის კომპეტენტური სამართლებრივი უწყების წინაშე

⁴ ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016. გვ.14

⁵ კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005, გვ.79

⁶ იქვე გვ.79

წარდგენა“, რაც წარმოდგენილია მე-5 (1ც)-მუხლში⁷. აღნიშნულ დასაბუთებას წარმოადგენს: სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვის არსებობა; ან როდესაც დაპატიმრება საფუძვლიანად დასტურდება სამართალდარღვევის აღსაკვეთი მიზნის მისაღწევად; აგრეთვე თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ არსებობს მიმალვის საფრთხე. მოცემულ გარემოებათა კუმულაციურობა არ წარმოადგენს აუცილებლობას, საკმარისია, პიროვნების მიერ ჩადენილ ქმედებაში იკვეთებოდეს ერთი გარემოება მაინც⁸. როდესაც საუბარია „სამართალდარღვევაზე“, როგორც ტერმინზე, გასათვალისწინებელია: მისი ავტონომიური მნიშვნელობა, სამართალდარღვევის ეროვნული კანონმდებლობით წარმოდგენილი კლასიფიკაცია და მისი ბუნება⁹.

ტერმინი „გონივრული ეჭვი“ საჭიროებს გარკვეული ფაქტებისა და ინფორმაციის არსებობას, რომელიც ირწმუნება პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენაში, ხოლო თუ კი შესაბამისი უწყებები ფაქტის დასაბუთებლად ვერ შეძლებენ იმ ფაქტთა მოკვლევას, რომელიც დაადასტურებდა პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, ასეთ შეთხვევაში დაირღვევა ევროკონვენციის მე-5 მუხლის (1 ც) პარაგრაფი¹⁰. ევროპულმა სასამართლომ საქმეში ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ცხადყო, რომ პირის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული არ შეიძლება იყოს მიჩნეული „გონივრული ეჭვის“ საფუძვლად¹¹.

⁷Lawless v. Ireland ,no. 3

⁸ იქვე.

⁹ ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016. გვ.15

¹⁰Stepuleac v. Moldova, § 73; Elçi და Others v. Turkey, § 674.

¹¹ FOX, CAMPBELL AND HARTLEY V UK.

II. პირის დაკავების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები

2.1 დაკავების არსი

ადამიანის თავისუფლება ეს ისეთი ძირითადი უფლებაა, რომელიც თავისი მიზნობრივობით სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან Ultima Ratio¹²-ს უნდა წარმოადგენდეს. ადამიანის დაკავება პირის ხანმოკლე თავისუფლების შეზღუდვაა კონკრეტულ დანაშაულთან მისი შემხებლობის დადგენის ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციის განსახორციელებლად¹³. დაკავებისთვის დამახასიათებელი ნიშანია იძულების ელემენტის არსებობა, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა პირის ნებელობას ან ცოდნას თავისუფლების შეზღუდვის ფაქტის შესახებ, მნიშვნელოვანია, რომ ის აღარ არის თავისუფალი და აღარ აქვს თავისუფალი გადაადგილების უფლება¹⁴. დაკავებისას, დაკავების მიზნების, საფუძვლისა და სტანდარტის მიხედვით ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ადმინისტრაციული წესითა და სისხლისამართლებრივი წესით დაკავება¹⁵.

2.2 დასაბუთებული ვარაუდი რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული

დაკავება საგამოძიებო მოქმედებაა (სსსსკ-ის 170-ე მუხლი), რომელსაც დაკავებული პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის გაგრძელებისათვის სავალდებულო წესით უნდა მოჰყვეს პირისათვის

¹² Ultima Ratio: უკანასკნელი საბუთი; გადაწყვეტი მოსაზრება.

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 499

¹⁴ იქვე, 499-500

¹⁵ იქვე, 499-500

ბრალდების დადგენილების წარდგენა.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს პირის დაკავების ორ სახეს: სასამართლოს განჩინების საფუძველზე და სასამართლოს განჩინების გარეშე ორივე შემთხვევაში აუცილებელია დასაბუთებული ვარაუდი,რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული¹⁶.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად ადგენს ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობას,რომელიც ცხადყოფს პირის მიერ დანაშაულის ჩადენას. აღნიშული სტანდარტი წარმოადგენს დაკავების მიზანს,რომელიც განიხილავს ბრალდებულის დანაშაულებრივ ქმედებასთან შემხებლობის და მის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების საკითხს. დაკავების საფუძველს წარმოადგენს მტკიცებულებათა ერთობლიობა,რომელიც ემყარება საქმის ობიექტურ გარემოებებს და რომელიც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს დაკავებისათვის.¹⁷

2.2.1 პირის მიმალვისა და სასამართლოში არ გამოცხადების საფრთხე

პირის მიმალვის საფრთხის არსებობის დასადგენად აუცილებელია საქმეში მოცემული გარემოებების,პირის თვისებების და მიმალვის გეგმის კონკრეტული ნიშნების სწორი ანალიზი და შეფასება. კანონი არ განმარტავს მიმალვის საფრთხისთვის მახასიათებელ ნიშანთვისებებს,ის აღნიშნულის შეფასებას დამკავებელ პირს აკისრებს.დამკავებელი პირისთვის,მიმალვის საფრთხის საფუძვლით პირის დაკავება რეალურ და მის აღსაკვეთად გადაუდებელ პროცედურას უნდა წარმოადგენდეს.

არ არსებობს კონკრეტული ნიშან-თვისებათა ჩამონათვალი,რაც დაგვარწმუნებს პირის მიმალვის მომეტებული საფრთხის

¹⁶ იქვე. 501

¹⁷ იქვე. 502-503

არსებობაში, რადგან ყოველი პირი, სამართალდამრღვევი ინდივიდუალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი საქმე და მასში მონაწილე პიროვნება უნდა შეფასდეს დანაშაულის ჩადენამდე, წარსული ქცევითა და დანაშაულის ჩადენის შემდგომ არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით.

დაკავებისათვის საჭირო პიროვნული მახასიათებლების არსებობას და მხოლოდ აღნიშნულზე დაყრდნობით პირის დაკავებას ნათლად განმარტავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე *Mamedova v. Russia*. მოცემულ საქმეში ეროვნულმა სასამართლოებმა არ მიუთითეს განმცხადებლის რაიმე პიროვნულ ნიშანსა ან ქცევაზე, რომელიც დაადგენდა განმცხადებლის მიმალვის აშკარა საფრთხეს¹⁸.

შესაფასებლად ასევე მნიშვნელოვანია, როდესმე უცდია თუ არა პირს მართლმსაჯულებისათვის თავის არიდება და სასჯელისათვის თავის დაღწევა მიმალვის გზებით. ევროპული სასამართლო განსაზღვრავს, რომ პირისათვის მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრის არსებობა ვერ ჩაითვლება მისგან მიმალვის საფრთხის აუცილებელ პირობას, თუ ამ კრიტერიუმს სხვა ელემენტებიც არ ახასიათებს¹⁹. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საჭიროა სხვა შესაბამისი ფაქტორები და მათი კომბინაცია, რაც შესაძლებელია გახდეს მიმალვის საფრთხის განსაზღვრის საფუძველი.

აღნიშნულ ქვეთავში წარმოშობილი პრობლემა, დაკავშირებული პირის მიმალვის საფრთხის დადგენასთან პირდაპირ შემხებლობაშია კანონში არსებულ ხარვეზთან. ხარვეზი, რომელიც გამოიხატება კონკრეტულ ნიშან-თვისებათა ჩამონათვალის არ არსებობაში, რაც დაგვარწმუნებდა პირის მიმალვის მომეტებული საფრთხეზე და გაადვილებდა გამოძიების მსვლელობას. წამოჭრილი პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა საპროცესო კანონმდებლობის გადახედვა და პრაქტიკული ნაწილის გამარტივება, ნიშან-თვისებათა კონკრეტისა და ჩამოყალიბების გზით. პროკურორები მიმალვის საფრთხეზე საუბრისას ვალდებულნი არიან, რომ ხსენებული საფრთხე დაასაბუთონ, რეალურად არსებულ

¹⁸ CASE OF MAMEDOVA V. RUSSIA

¹⁹ CASE OF STÖGMÜLLER v. AUSTRIA

გარემოებებზე მითითებით, აქედან გამომდინარე ვფიქრობთ მეტ სიმარტივესა და სიზუსტეს შესძენდა კანონი, მიმალვის რეალური საფრთხის გამოკვლევასა და დადგენას, აგრეთვე დამკავებელ პირთა თვითნებობის პრევენციასაც მოახდენდა, კანონში მითითებული ნიშან-თვისებების ჩამონათვალი.

2.2.2 საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხე

პირის დაკავებისათვის ისეთი საფუძვლის არსებობა, როგორც საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებაა, ისეთივე საფრთხილო და სწორად შესაფასებელია, როგორც პირის მიმალვის საფრთხის დადგენა. საქმიდან გამომდინარე სახეზე უნდა იყოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მოასწავებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხეს, ასეთია საქმესთან მჭიდრო კავშირში არსებული მტკიცებულებების განადგურება, მაგალითად პირის მიერ რომელმაც ჩაიდინა მკვლელობა, კერძოდ კი სისხლის კვალის დაფარვა ტანსაცმელსა და ნივთებზე, მათი გარეცხვა/დაწვა. დანაშაულის ჩადენის იარაღის გაწმენდა მასზე არსებული სისხლის კვალის და თითის ანაბეჭდების მოშორების გზით. ასევე დანაშაულის მოწმეზე/მოწმეებზე ზემოქმედება, მათი დაყოლიება ან მათზე მუქარა მათში არსებული ინფორმაციის დათრგუნვის მიზნით²⁰. სსსკ-ის 170-ე მუხლი მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეში მოიაზრებს, როგორც ნივთიერი თუ შინაარსობრივი ობიექტების განადგურებას, ასევე მოწმეებზე შესაძლო ზემოქმედების განხორციელების საფრთხესაც.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის გადაწყვეტილებას საქმეზე მიქიაშვილი საქართველოს წინაარმდეგ, განაცხადი no. 18996/06 დაეთანხა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სადაც აღინიშნა, რომ

²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ. 597-598

დაკავებულის გათავისუფლების შემთხვევაში, განმცხადებელს შეეძლო სავარაუდო დანაშაულის ჩადენაში შემსწრე პირების/თავისი მეგობრების აზრის დათრგუნვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ეს იყო ის გარემოება, რაც გამოიწვევდა განმცხადებლის მიერ მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეს. ყოველივე ზემოთხსენებული ქ.თბილისის საქალაქო სასამართლომ ჩათვალა რეალურად, აღნიშნული კი გაიზიარა ევროპულმა სასამართლომ.²¹

ხსენებულ საფრთხესთან დაკავშირებით საპროცესო კანონმდებლობას პრობლემები და ხარვეზები არ გააჩნია, რადგან ზუსტად არის ჩამოყალიბებული თუ რა ჰქმნის საქმესთან მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხეს, ხოლო დამკავებელს არ აკისრებს ვალდებულებას თავად განსაზღვროს საფრთხის ხასიათი.

2.2.3 ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის გამოსაკვეთად სისხლის სამართლის საპროცესო პრაქტიკაში გარკვეული კრიტერიუმებია ჩამოყალიბებული. საქმის ფაქტობრივი გარემოებები, დამნაშავის პიროვნების შესწავლა, წარსულში ნასამართლეობა და მისი კანონის წინაშე დამოკიდებულებისა და ქცევის ანალიზს საჭიროებს ახალი დანაშაულის ჩადენისთვის საფრთხის არსებობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ერთობლიობას უნდა ქმნიდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგალითად მხოლოდ პირის წარსულში ნასამართლეობამ არ შეიძლება მოგვცეს პირის დაკავების საფუძველი, ახალი დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *Clooth v. Belgium*, no. 12718/87, ბრალდებულის წარსულის, მისი პიროვნების და კანონთან დამოკიდებულების ანალიზის ერთობლიობა მოითხოვა, რათა

²¹ *Mikiashvili v. Georgia*, no. 18996/06

დაედგინა ახალი დანაშაულის საფრთხის არსებობა.ევროპულმა სასამართლომ განმარტა,რომ ყოველი სახელმწიფოს სასამართლოებმა გადაწყვეტილებაში უნდა ჩამოაყალიბონ და მიუთითონ შესაძლო დანაშაულის ხასიათზე,რასაც მეტად გაუსვამს ხაზს ბრალდებულის წარსული და პიროვნული ქცევა²².გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია დამნაშავე პირის ნასამართლეობის ასპექტის განსაზღვრა, რომელ დანაშაულზე ან იმავე სახის ქმედებისათვის არის თუ არა იგი ნასამართლევი.როდესაც წარსულშიც გვევლინება პირი იგივე ქმედებისათვის ნასამართლევი, მეტია საფრთხე ახალი დანაშაულის ჩადენისა.

ქართული სასამართლოების პრაქტიკიდან გამომდინარე უპირატესობა პირის წარსულში ნასამართლეობას და ჩადენილ დანაშაულში ქმედების განზრახვობას ენიჭება.დაკავებისას ყურადსაღებია პირობითი მსჯავრის არსებობაც კი, მიუხედავად მისი სასჯელის სახედ არ მიკუთვნებისა²³. მაშინ,როდესაც პიროვნება პირობითი მსჯავრის პერიოდშია და კვლავ სჩადის რაიმე სახის დანაშაულებრივ ქმედებას,გამოხატავს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას და კანონის წინაშე დაუმორჩილებლობას.აღნიშნული კი ზრდის ახალი დანაშაულის ჩადენის მომეტებულს საფრთხეს და ცხადყოფს პიროვნების მიდრეკილებას დანაშაულის ჩადენაზე.ყოველივე ეს კი ამართლებს დაკავების საფუძველს.

საინტერესო და მნიშვნელოვანია ჩადენილი დანაშაულის ბუნება. თუ კი სახეზე გვაქვს ერთგვაროვანი ხასიათის დანაშაულის ჩადენა,მაგალითისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულები,ასეთ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედების განმეორების საფრთხე არის დასაბუთებული²⁴.

²² Clooth v. Belgium, no. 12718/87, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება.

²³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2021

²⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 04 ოქტომბრის N 1გ/1199-17 გადაწყვეტილება

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ რამოდენიმე კრიტერიუმის ერთობლივა უნდა გვადლევდეს დაკავების, როგორც იძულებითი ხასიათის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. როდესაც იარსებებს რეალური საფრთხე პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენისა, რომელიც სხვა ღონისძიებით ვერ იქნება მიღწეული დაკავება გამართლებული და დასაბუთებულია.

3. შუამდგომლობა პირის დაკავების შესახებ და განჩინების სამართლებრივი მოქმედება

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაკავების შესაძლებლობას უშვებს ორი სახით, როგორც სანქცირებულს-მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ასევე, არასანქცირებულს- გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში - სასამართლოს ნებართვის გარეშე²⁵. სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად ორივე შემთხვევაში უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ არის საკმარისი მხოლოდ პირის მიერ ჩადენილი ქმედების არსებობა, ამასთან მნიშვნელოვანია პირის მიმალვის, სასამართლოში არ გამოცხადების, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დადგენა²⁶. პირის დაკავებისათვის წინასწარი ნებართვის მისაღებად პროკურორი, შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე გამოსცემს შესაბამის განჩინებას. აღნიშნული გადაწყვეტილება კი არ საჩივრდება. მოქმედი საპროცესო კანონით დღეს დაკავების შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება. რაც

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ.503-504

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ.503-504

სასამართლოს მხრიდან დაუსაბუთებელი და არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების საფრთხის შემცველია. მაშინ, როდესაც სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, ზეპირი მოსმენის ჩატარებასა და პირისთვის მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობის მინიჭებას, მნიშვნელოვანია შუამდგომლობის განხილვისას პროკურორსაც შეეძლოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ზეპირი მოსმენის უფლებით სარგებლობა. გარდა ამისა მოქმედი კანონმდებლობით დაკავების შესახებ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. აღნიშნული კი მხარეებს უზღუდავს შესაძლებლობას ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრონ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

პირის დაკავების კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, დაკავება ხდება მოსამართლის ნებართვის გარეშე და პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლომ უნდა შეამოწმოს, როგორც დაკავების კანონიერება, ისე გადაუდებელი აუცილებლობის გამო განხორციელებული დაკავების საფუძვლიანობა.²⁷

პრაქტიკული თვალსაზრისით დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დადგენა არ არის მარტივი პროცესი. დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან ერთად სხვა საფრთხეების დასაბუთება მეტად აუცილებელი წინაპირობაა დაკავებისათვის. ხშირია შემთხვევები, როდესაც პროკურორების მხრიდან არ ხდება დასაბუთებული ვარაუდის არგუმენტირება შესაძლო დანაშაულის ჩადენის გარდა სხვა შესაძლო საფრთხეების დადგენით. უმრავლეს შემთხვევაში სასამართლოებიც თავს არიდებენ დაკავების კანონიერების განხილვასა და შეფასებას. სასამართლოების ასეთი მიდგომა სამართალდამცავების მხრიდან თვითნებობის რისკს წარმოშობს²⁸. პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში, ვიდრე ბრალდებული პირველად წარდგება სასამართლოს წინაშე, საქართველოს კანონმდებლობა არ

²⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2021, 171-ე მუხლის 1-ლი; მე-2; მე-3 ნაწილები.

²⁸ ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ.19

ითვალისწინებს დაკავების კანონიერების შეფასების გარკვეულ მექანიზმებს²⁹.

მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს თუ რომელი ძირითად კომპონენტებისგან შედგება შუამდგომლობა დაკავების შესახებ და რას მოიცავს თითოეული მათგანი. შუამდგომლობა დაკავების შესახებ უნდა შედგებოდეს სამი ძირითადი ნაწილისაგან: შესავალი - რომელიც ეფუძნება მონაცემებს: შუამდგომლობის ავტორი, შედგენის - თარიღს და ადგილს, დასაკავებელი პირის შესახებ პირად ინფორმაციას, სახელს გვარს, პირად ნომერს, დაბადების თარიღს და საცხოვრებელ მისამართს, შუამდგომლობის ადრესატ სასამართლოს და სისხლის სამართლის საქმის ნომერს; აღწერილობით(სამოტივაციო) ნაწილში - პროკურორმა უნდა დაასაბუთოს, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რასაც ცხადყოფს მოცემულ საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებები. რომლისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა და მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არსებობს დაკავების ფორმალური საფუძველები კერძოდ: პირის მიმალვისა ან სასამართლოში არ გამოცხადების, საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციის განადგურების და ახალ დანაშაულის ჩადენის საფრთხე.³⁰

შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს დაკავების ის ფორმალური საფუძველი, რომელიც სახეზეა, ხოლო სხვა ფორმალური საფუძველის არ არსებობის შემთხვევაში მისი მითითება არ შეიძლება. ფორმალური საფუძველები უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ კონკრეტულ გარემოებებს და მოპოვებულ მტკიცებულებებს. საქმეში ერთდროულად სახეზე შეიძლება იყოს ყველა ან რამდენიმე ფორმალური საფუძველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ხშირია პროკურორების მხრიდან არსებული ფორმალური საფუძველების უგულვებელყოფა და სათანადოდ არ

²⁹ იქვე, გვ.19

³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ.501

დასაბუთება. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია დეტალურად დაასაბუთოს თითოეული ფორმალური საფუძველი ცალ-ცალკე და ისე მიუთითოს შუამდგომლობაში. აგრეთვე ცალ-ცალკე უნდა დასაბუთდეს დაკავების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, როდესაც საქმე ეხება ერთი შუამდგომლობით ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე რამდენიმე პირის დაკავების მოთხოვნას.³¹

3.1 პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე

პრაქტიკაში მეტად გავრცელებულია პირის დაკავება მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, რაც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების ერთ-ერთი სახეა, რომელსაც არასანქცირებულ დაკავებასაც უწოდებენ. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც იზრდება დაკავების დასაბუთებულობის ხარისხი ვიდრე სანქცირებული დაკავების დროს, რადგან სასამართლო ან დაკავებაზე ორიენტირებული უწყებები არ არიან ინფორმირებული პირის მიერ ჩადენილი თუ შემდგომში ჩასადენი ქმედების შესახებ. ასეთ დროს დაკავებაზე უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი პირადი შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას, რომლის კანონიერებასაც შემდგომში ადგენს მოსამართლე ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომისთანავე.

მნიშვნელოვანია სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავებისათვის არსებული საფუძვლების არსებობა, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აყალიბებს შემდეგნაირად: პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება

³¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ. 501

სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით; პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიციო; პირი შესაძლოა მიიმალოს; პირი ძებნილია; მოსამართლის განჩინების გარეშე დაკავების შესაძლებლობას უნდა ითვალისწინებდეს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.³²

პირის დაკავება საფუძვლით დანაშაულის ჩადენის ან ჩადენისთანავე გულისხმობს მოკლე ინტერვალის არსებობას მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დაკავებას შორის ანუ როდესაც სავარაუდო დანაშაულის ჩადენი დაასრულებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და დაკავებით აღჭურვილი უფლებამოსილი პირი მივა შემთხვევის ადგილზე, რაც არ ქმნის დროის ინტერვალის სხვაობას დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენასა და შემთხვევის ადგილის მიტოვების მცდელობას.³³ მნიშვნელობა არა აქვს პირის დაკავება მის მიერ დასრულებული დანაშაულის შემდეგ განხორციელდება დანაშაულის ჩადენის უშუალო ადგილას თუ შემთხვევის ადგილიდან მოშორებით. მთავარია, რომ დამკავებელმა პირმა დაინახოს, დაკავებულის მიერ დანაშაულის ჩადენა და ვიდრე მოხდება მის დაკავება ის არ მიიმალოს დამკავებელი პირის მხედველობის არიდან³⁴.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლით, ქვეთავში მოცემული საფუძვლის შემთხვევაში შესაძლებელია იმუნიტეტის მქონე პირის დაკავება, თუმცა არსებობს გამონაკლისი წესი, რომლის საკონონმდებლო საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, როდესაც არ შეიძლება დაკავებულ იქნას საქართველოს პრეზიდენტი, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები. სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენება მათ მიმართ ვერ

³² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2021, მუხლი 171

³³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 1გ/1722-16

³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ. 505-506

ხერხდება, რადგან ისინი იძენენ პრივილეგიას და გააჩნიათ დაკავებისგან თავის არიდების შესაძლებლობა. ამგვარი იმუნიტეტით სარგებლობენ: დიპლომატები და მისი ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, გენერალური აუდიტორი, საქართველოს სახალხო დამცველი, სახელმწიფო ინსპექტორი, მოსამართლე. ხოლო როდესაც საქმე დანაშაულზე წასწრებას ეხება, აღნიშნული საფუძვლით შესაძლებელია დაკავებულ იქნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი, გენერალური აუდიტორი, საქართველოს სახალხო დამცველი, სახელმწიფო ინსპექტორი და მოსამართლე, თუმცა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებისათვის აუცილებელი იქნება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირთა/ორგანოს თანხმობა. ადმინისტრაციული სამართალწარმოების შემთხვევაში, ადმინისტრაციული წესით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე მათი დაკავება აკრძალულია, გარკვეული დროითაც კი.³⁵

სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია პირის დაკავება, თუ იგი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას, ამ შემთხვევაში დამნაშავე პირი შეიძლება იყოს, როგორც დამკავებელი პირი, ისე სხვა ნებისმიერი პირი, რომელმაც დაინახა თუ როგორ ჩაიდინა დამნაშავემ დანაშაული. დამნაშავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაუყოვნებლივ ხორციელდება. მოცემული საფუძვლით პირის დაკავება გამოირიცხება თუ კი ის დროებით მაინც მიიმალა დამკავებელი პირის ან სხვა პირის მხედველობის არიდან, აღნიშნულზე დამნაშავის დაკავება შეიცვლება სხვა საფუძვლით. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილას ყოფნა არ ნიშნავს დანაშაულთან პირდაპირ შემხებლობას, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უშვებს პირის დაკავებას და მასზე დევნის განხორციელებას, რადგან ის დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას, მისი დანაშაულთან შემხებლობის მიუხედავად³⁶. ხსენებული საფუძვლით განხორციელებული დაკავებით უსაფუძვლოდ

³⁵ იქვე, გვ. 512-513

³⁶ იქვე, გვ. 506

ხდება კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით დაცული სფეროს, ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევა. რასაც ამყარებს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება გარდა კანონით განსაზღვრული წესისა³⁷.

დანაშაულის აშკარა კვალი, რომელიც აღმოჩენილია პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე გულისხმობს მტკიცებულებას და არის საფუძველი პირის დაკავებისა სასამართლოს განჩინების გარეშე. მტკიცებულება შეიძლება იყოს ნებისმიერი სახით, მთავარია იყოს აშკარა და მის აღმოჩენას არ საჭიროებდეს რაიმე დამატებითი სახის კვლევის ჩატარება³⁸. პირზე - კვალის არსებობა, კვალის ადგილმდებარეობას განსაზღვრავს და მიუთითებს დასაკავებელი პირის სხეულზე. სხეულში იგულისხმება ადამიანის მთელი სხეული, როგორც შინაგანი ასევე გარეგანი. მასთან - მტკიცებულება ნაწილი და ამოღებული უნდა იქნეს უშუალოდ მასთან დაკავშირებული მოძრავი ან უძრავი ნივთიდან, იმისათვის რომ დამტკიცდეს კვალის აშკარაობა. მის ტანსაცმელზე - ტანსაცმელში მოიაზრება ფეხსაცმელიც და აშკარა კვალი უნდა აღენიშნებოდეს უშუალოდ დასაკავებელი პირის ტანსაცმელს.³⁹

ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ადგილიდან მიიმალა და შემდგომ იგი თვითმხიველმა ამოიციო კვლავ გვაძლევს საფუძველს სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავებისა. „თვითმხილველი“ - არის ყველა ის პიროვნება, როგორც დაზარალებული ასევე სხვა, რომელიც უშუალოდ შეესწრო დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის პროცესს, რომელმაც აღიქვა და დაიმახსოვრა დამნაშავის გარეგნული ნიშან-თვისებები, ხოლო აღნიშნულის საფუძველზე თვითმხიველმა დამნაშავის დანახვისას შეძლო მისი ამოცნობა, როგორ

³⁷კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005, გვ.78

³⁸საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ.508

³⁹საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ.508

კონკრეტული დანაშაულის ჩამდენისა.⁴⁰ თუ, თვითმხილველი პირი, დამნაშავის მიმალვის შემდგომ ამოიცივებს მას, კანონით ენიჭება უფლება მოახდინოს რეაგირება და შეიპყროს იგი სამართალდამცავ ორგანოსათვის წარდგენის მიზნით, ან ადგილზე გამოიძახოს სამართალდამცავები, რომლებსაც თვითმხილველი მიუთითებს დამნაშავეზე რა დროსაც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ მოხდება დანაშაულის ჩამდენის დაკავება, აღნიშნულზე ამოცნობი პირის მიერ აუცილებელია დეტალური მითითება იმაზე, თუ რა საშუალებით ამოიცივო დამნაშავე და ეს არ უნდა იყოს ზოგადი დახასიათება⁴¹. პრაქტიკაში, თვითმხილველის მიერ პირის ამოცნობა ხორციელდება სსსკ-ის 131-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების - ამოცნობის დროს, რაც ქმნის გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით პირის დაკავების შესაძლებლობას. თუმცა პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საგამოძიებო მოქმედებას - ამოცნობა, არ იყენებენ ისეთი ინტენსივობით, როგორც თვითმხილველის მიერ დამნაშავის ამოცნობას ზეპირსიტყვიერად ან სამართალდამცავებისათვის აღწერითა და მითითებით⁴².

სისხლის სამართლის პრაქტიკის თანახმად თვითმხილველის მიერ პირის ამოცნობა უკავშირდება ისეთ ვითარებას, როდესაც თვითმხილველი არ იცნობს დანაშაულის ჩამდენ პირს/არ იცის მისი ვინაობა მაგრამ უშუალოდ მიუთითებს მასზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე, რაც უტოლდება ამოცნობას და, როდესაც თვითმხილველმა იცის დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და ასახელებს მას. აღნიშნულს შესაძლებელია, როგორც უშუალოდ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, ასევე მოგვიანებით სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობისას⁴³. ყოველივე ზემოთ ხსენებულთან დაკავშირებით საინტერესოა მაგალითი

⁴⁰ იქვე, გვ.508

⁴¹ იქვე, გვ.508

⁴² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ.508

⁴³ იქვე, გვ.508

პრაქტიკიდან,კერძოდ ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 აპრილის N10ა/2848 განჩინება 2014 წლის 24 აპრილს, ძარცვის ფაქტზე,რაზეც დაკავებული იქნა პირი,ესსსკ-ის 171-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძვლით,რასაც წინ არ უსწრებდა საგამომიებო მოქმედება - ამოცნობა, არამედ პიროვნებამ, რომელსაც გასტაცეს მობილური ტელეფონი შეძლო დამნაშავეს ამოცნობა,რადგან იცნობდა მას,ხოლო ამის შესახებ მან განუცხადა სამართალდამცავებს მოწმის სახით გამოკითხვის ოქმში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 აპრილის განჩინებით აღნიშნული დაკავება ცნობილ იქნა კანონიერად⁴⁴.

მოქმედი სსსკ-ის თანახმად, პირის დაკავება შესაძლებელია,როდესაც არსებობს მისი მიმალვის საფრთხე. მიმალვის საფრთხის საფუძვლით პირის დაკავება ძნელად სამტკიცებელ გარემოებას წარმოადგენს,აქედან გამომდინარე სახეზე უნდა გვექონდეს,როგორც სუბიექტური,ისე ობიექტური გარემოებები, რომლებიც რეალურად მიუთითებენ პირის სურვილზე მიემალოს მართლმსაჯულებას⁴⁵. პრაქტიკა ცხადყოფს,რომ სამართალდამცავები სიფრთხილეს უნდა იჩენდნენ გადაუდებელი აუცილებლობის დროს პირის მიმალვის საფუძვლით პირის დაკავებასთან, რადგან აღნიშნულ საფუძველს რეალურად და ობიექტურად სჭირდება მყარი არგუმენტები და კონკრეტული გარემოებები რეალურ ფაქტებზე დაყრნობით,ასეთ შემთხვევაში მხოლოდ დამკავებლის სუბიექტური ნება საკმარისი არ არის⁴⁶.

ძეხნილი პირის დაკავების შემთხვევაში გავრცელებულია პრაქტიკა,რომ როდესაც პირი ჩაიდენს დანაშაულს და შემდეგ ემალება გამოძიებას ან არ ცხადდება საგამომიებო ორგანოში თუ სასამართლოში, გამოძიების მიერ,მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის შემთხვევაში, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ კონკრეტულმა პირმა

⁴⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 აპრილის N10ა/2848 განჩინება

⁴⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015 , გვ.510

⁴⁶ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 დეკემბრის 10/ა-628/15წ განჩინება

ჩაიდინა დანაშაული, მის მიმართ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა.პირის,როგორც ძეზნილის დაკავებისათვის სავალდებულოა დაკავებამდე პირზე გამოტანილი იყოს დადგენილება მისი ძეზნის შესახებ.⁴⁷ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონი მიღებულ იქნა 2010 წლის 21 ივლისს, ხოლო ამოქმედდა ამავე წლის 1 ოქტომბრიდან. აღნიშნული კანონის მიზანია საერთაშორისო ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება,რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დაეკისრა⁴⁸.

საქართველოს ტერიტორიაზე პირის დაკავება და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ეფუძნება სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტს.აღნიშნული შესაძლებელია ზემოთ ხსენებული კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძვლებით: უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძეზნილი პირის საქართველოს ტერიტორიაზე დაკავება და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ: უცხო სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილია პირის ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა; უცხო სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილია პირის ექსტრადიციის მიზნით დროებითი დაპატიმრების შესახებ შუამდგომლობა; უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირი საერთაშორისო დონეზე იძებნება⁴⁹.

III.დაკავების წესი

3.1. დაკავებაზე უფლებამოსილი პირები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით, დაკავებაზე უფლებამოსილია პირი,რომელიც გამოძიების

⁴⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015 , გვ.510

⁴⁸ საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ , 30 მარტი ,2021

⁴⁹ საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ , 30 მარტი ,2021, მუხლი 30

ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს თანამშრომელია და ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, იცავს საზოგადოებრივი წესრიგს და აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას.აქედან გამომდინარე პირის დაკავების უფლება აქვს როგორც გამომძიებელს, ასევე საგამომძიებო ჯგუფს, ოპერატიულ თანამშრომელს, პოლიციელს, პროკურორს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამომძიებო დანაყოფების გამომძიებლებს და სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელ პროკურორებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ახორციელებენ საგამომძიებო-ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.⁵⁰ აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაკავების უფლებამოსილებით აღჭურავს არა რომელიმე ორგანოს, სამინისტროს ან/და სამსახურს, არამედ თანამშრომელს, რომელსაც ზემოთ ხსენებული მუხლის მიხედვით აქვს განსახორციელებელი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.მაგალითად, ოპერატიული ფუნქციების განმახორციელებელი პირების ჩამონათვალს განსაზღვრავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი⁵¹. დაკავების წესის განსაზღვრისათვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია დამკავებელი პირის სტატუსის დადგენა,ჰქონდა თუ არა მას დაკავებისათვის მინიჭებული უფლებამოსილება,თანამდებობრივად არის თუ არა ის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლში დასახული ფუნქციების შემსრულებელი.მუხლში დასახელებული ერთ-ერთ ფუნქციის განხორციელების წინაპირობით დადგინდება,რომ ამ პირს აქვს დაკავების უფლება.

⁵⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ.511

⁵¹ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 12

იმ შემთხვევაში, როდესაც პირს არ გააჩნია უფლებამოსილება დამნაშავეს დაკავების, მაშინ როდესაც დანაშაულის უშუალო შემსწრეა და მის თვალწინ ხორციელდება, არსებობს საკმარისი საფუძველი სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავებისთვის, ამასთანავე გადაუდებლად მნიშვნელოვანია დანაშაულის აღმოფხვრა მესამე პირთა უფლებების დაცვისათვის ან მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენისათვის, დაკავებაზე არაუფლებამოსილ პირს შეუძლია დამნაშავეს შეჩერება ისეთი ზომიერი საშუალებებით, რაც შეჩერების ფარგლებს არ გასცდება. კერძო პირი უფლებამოსილია დამნაშავე პირის შეპყრობაზე და ვალდებულია აღნიშნული შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოებს. ხსენებული სტატუსით უფლებამოსილ კერძო პირს არ ეწოდება დამკავებელი, ის გვევლინება როგორც დამნაშავეს შემპყრობი, აგრეთვე დამნაშავეს შემპყრობმა არ შეიძლება შეადგინოს დაკავების ოქმი, ასევე შეპყრობილ პირს არ უნდა განუმარტოს უფლებები, ყოველივე ეს დაკავებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულებაა.⁵² ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ კერძო პირის მიერ დამნაშავეს შეპყრობის ვადა არ ითვლება მისი დაკავების ვადაში⁵³. მაშინ, როდესაც დაკავებაზე უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი არასამსახურობრივ დროს თუ ზემოაღნიშნული პირები იმყოფებიან შვებულებაში, საავადმყოფო ფურცელზე ან რაიმე სხვა საფუძველით დროებით აქვთ შეჩერებული სამსახურებრივი უფლებამოსილება შეესწრება მიმდინარე დანაშაულს მათ არ გააჩნიათ პირის დაკავების უფლება, თუმცა შეუძლიათ განახორციელონ დამნაშავეს შეპყრობა კერძო პირის სტატუსით და წარადგინონ იგი უახლოეს სამართალდამცავ ორგანოში⁵⁴.

⁵² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ.512

⁵³ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ფაფიაშვილი ლ. (რედაქტორი), ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, გვ.223

⁵⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ.510

3.2 დაკავებისას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყები პირი

სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ პირად, მოქმედი სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, გვევლინება პროკურორი. სსსსკ-ის 167-ე მუხლის, პირველ ნაწილზე დაყრდნობით სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე.საპროცესო კანონმდებლობა პროკურორისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებაზე,დაიწყოს დევნა დაკავებისთანავე მიუთითებს იმაზე ,რომ დაკავება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა⁵⁵.თუ კი დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი ნებისმიერი პირი, პირის დაკავებისას იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას,სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით დადგენილ პროკურორის ექსკლუზიურ უფლებას⁵⁶,მხოლოდ მან დაიწყოს დევნა უქმნის წინააღმდეგობას და აყენებს ეჭვქვეშ.მსგავსი ცდომილებები არ უნდა ქმნიდეს დაკავებულ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის გაურესების პირობას.პირის მიმართ მხოლოდ ბრალდებულად ცნობისთანავე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება ნამდვილად შეესაბამება პროკურორის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას,მხოლოდ მან განახორციელოს დევნა.მეცნიერთა გარკვეული რიცხვი ზემოთ ხსენებულზე მიიჩნევს,რომ დაკავების შემთხვევაში ლოგიკურია დაიწყოს დევნა,სისხლის სამართლის პროცესში გაჩენილი სუბიექტის მიმართ⁵⁷.

3.3 იმუნიტეტის მქონე პირების დაკავების წესი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს იმუნიტეტის მქონე პირთა დაკავების წესს. სსსსკ-ის 173-ე მუხლში

⁵⁵მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, უნივერსიტეტის გამომცემლობა,თბილისი, 2014, გვ 93

⁵⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი,ავტორთა კოლექტივი,თბილისი 2015, გვ.478

⁵⁷ მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014, გვ.94

ჩამოთვლილ პირებზე ჩვენ წინა თავებშიც ვისაუბრეთ, აღნიშნული მუხლი ასეთ პირებს ორ კატეგორიად ჰყოფს : პირები, რომლებიც სარგებლობენ აბსოლუტური იმუნიტეტით და პირები, რომლებიც სარგებლობენ შეზღუდული იმუნიტეტით⁵⁸.

დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირები და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ აბსოლუტური იმუნიტეტით. მათთვის იმუნიტეტის მოხსინასთვის საჭიროა მათი საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაკავება. იმუნიტეტის მოხსნა ასევე აკრძალულია, ზემოთ ხსენებულ პირთა მიერ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტის შემთხვევაში მის ხელშეუხებლობას საქართველოს კონსტიტუციის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტი განაპირობებს. მისი დაკავება/დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლება მანამ, სანამ იგი თანამდებობაზეა⁵⁹. საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი პრეზიდენტის მიერ დანაშაულის ჩადენის საკითხთან მიმართებაში იმპიჩმენტის წესს იყენებს. კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძველით საქართველოს პრეზიდენტის, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. იმპიჩმენტის საკითხი, აღძრის შემდგომ გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო ერთი თვის ვადაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ დასკვნაში, სადაც პრეზიდენტთან მიმართებაში ნამდვილად იკვეთება დანაშაულის ნიშნები პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

⁵⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015, გვ.512

⁵⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 51

მას შემდეგ რაც პრეზიდენტი გადაყენებული იქნება თანამდებობიდან მის მიმართ შეიძლება დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მათ შორის გამოყენებულ იქნეს დაკავება/დაპატიმრება.⁶⁰

შეზღუდული იმუნიტეტის მქონე პირების დაკავება შესაძლებელია თუ მათ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე ასეთ შემთხვევაში თანხმობა უნდა განაცხადონ შესაბამისმა ორგანოებმა, კერძოდ საქართველოს პარლამენტის წევრის, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის და სახელმწიფო ინსპექტორის მიმართ თანხმობის გამცემ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტი.⁶¹

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დაკავების, სისხლისსამართლებრივი დევნის, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის თანხმობის მიმცემ ორგანოს, საერთო სასამართლოების მოსამართლის შემთხვევაში წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში - საკონსტიტუციო სასამართლო.⁶²

3.4 არაიდენტიფიცირებული პირის დაკავების წესი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისთვის პირის იდენტიფიცირება ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი გარემოებაა, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად და ქმედების მართებული კვალიფიკაციისათვის გასათვალისწინებელია პირის ასაკი და ფსიქიკური შერაცხადობა. არაიდენტიფიცირებული პირის დაკავების შემთხვევაში ვხვდებით მთელ რიგ დაბრკოლებებს, მაგალითად, როდესაც დაკავებული მალავს და არ ასახელებს თავის ვინაობას სამართალდამცავ მოხელესთან. პირის იდენტიფიცირება შესაძლოა ვერ მოხერხდეს

⁶⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 48

⁶¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015, გვ.512

⁶² იქვე. გვ.512

მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს ობიექტური მიზეზი დაკავებულის შესაძლებლობების ან ნაკლის გამო, ეს ისეთი შემთხვევაა, როცა თავისუფლებაზე ზღუდული ვერ ფლობს სამართალწარმოების ენა, ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია გადმოსცეს, არც ვერბალურად და არც წერილობით თავისი ვინაობა, რის გამოც ვერ ხერხდება პიროვნების დადგენა. სსსკ-ის 179-ე მუხლი ადგენს პიროვნების ვინაობის და მოიაზრებს: პირის სახელს, გვარს, ასაკს, სქესს, მოქალაქეობას.⁶³

არაიდენტიფიცირებული პირის დაკავების წესი, დამკავებელთათვის იმაზე მეტად საპასუხისმგებლო და ოპერატიულია, ვიდრე სხვათა დაკავების შემთხვევაში, რადგან მათ დროის უმოკლეს ვადაში უნდა მოახდინონ პირის ვინაობის დადგენა. დაკავების მომენტიდან არაიდენტიფიცირებულ პირს უნდა დაენიშნოს ადვოკატი. დაკავების ოქმის შედგენისას, აღიწერება პირის გარეგნული ნიშან-თვისებები, რასაც ესწრება კომპეტენტური ექსპერტი, რომელიც ახდენს აღნიშნულის შორი და ახლო კადრიდან ფოტოგადაღებას, მისი მიზანია ფოტოში აღბეჭდოს დაკავებულის საერთო სიმაღლე, ასევე სახე ახლოდან, ხოლო თუ მას აღნიშნება რაიმე დამახასიათებელი ნიშანი აუცილებლად უნდა მოხდეს მისი ინდივიდუალურად დაფიქსირება.⁶⁴ თუ დაკავებული არაიდენტიფიცირებული პირი გამოტანილი დადგენილების თანახმად ცნობილ იქნება ბრალდებულად მას სამი დღე-ღამის ვადაში ჩაუტარდება კვლევა, რაც მოიცავს: სამედიცინო-ფსიქიატრიულ ექსპრტიზას, უნდა მოხდეს მისი დაქტილოსკოპიური შესწავლა და რეგისტრაცია სისხლის ჯგუფისა და სხვა ბიომეტრიული მახასიათებლების მიხედვით⁶⁵.

პროცესის მწარმოებელი ორგანო ამარტივებს არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ განხორციელებულ სამართალწარმოებას, მისთვის პირობითი სახელის მინიჭებით, ასეთი სახელი შეიძლება იყოს ციფრების ან/და ასოების კომბინაცია, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს პიროვნების

⁶³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015, გვ. 529

⁶⁴ იქვე, გვ. 529

⁶⁵ იქვე, გვ. 530

პატივსა და ღირსებას. პირობითი სახელის მინიჭებაზე უფლებამოსილია პროცესის მწარმოებელი ორგანო, პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით.⁶⁶

4. დაკავების პროცედურა

4.1 დაკავების საფუძვლის შეტყობინება

სახელმწიფოს უმაღლესი კანონი, საპროცესო კანონმდებლობასთან ერთად განაპირობებს დაკავებული პირისათვის დაკავების საფუძვლის დაუყოვნებლივ შეტყობინებას, ეს კი მიუთითებს იმას, რომ ნებისმიერი დაკავებული პირი სარგებლობს მინიმალური სამართლებრივი გარანტიებითა და უფლებით დაკავების პირველივე მომენტიდან დასაბუთებულად მიიღოს ინფორმაცია დაკავების მიზეზების შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ნათლად აღწერს დაკავებამდე და დაკავების შემდგომ პროცედურებს. ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი მიგვითითებს დაკავებული პირისათვის მისი უფლებებისა და დაკავების საფუძვლის განმარტების შესახებ. როდესაც პირთან მიმართებაში აშკარაა დაკავების საფუძვლების არსებობა, დამკავებელმა პირმა დაკავებულს გასაგები ფორმით უნდა შეატყობინოს ამ საფუძვლების შესახებ⁶⁷. მან ზეპირად უნდა განუმარტოს დაკავების ოქმში მისი უფლებების ჩამონათვალის შეტანით: თუ რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული, აცნობოს, რომ აქვს უფლება მოითხოვოს ადვოკატი; დუმილის და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება; უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი, რასაც ის იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში. ასევე, პირის მიერ მისი უფლებების განმარტებამდე გაკეთებული ნებისმიერი

⁶⁶ იქვე, გვ. 530

⁶⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2021, 174-ე მუხლის პირველი ნაწილი

განცხადება ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად⁶⁸. ყოველივე ჩამოთვლილი დაკავებულს უნდა განემარტოს მისთვის გასაგებ ენაზე, მარტივად, ხოლო ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული პირის ინდივიდუალური უნარები და ნაკლი⁶⁹.

დაკავების საფუძვლის შეტყობინებასა და დაკავებულისათვის თავისი უფლებების განმარტების პრაქტიკის ნათელი მაგალითია საქმე „მირანდა არიზონას წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დამკავებელ მოხელეებს დაევალოთ დაკავებულს/ბრალდებულს აცნობონ თავისი უფლებების შესახებ. უფლებათა ამ ჩამონათვალს შემდგომში „მირანდას გაფრთხილების“ (Miranda Warning) სახელითაც მოიხსენიებენ⁷⁰. აღნიშნული პრაქტიკა საქართველოშიც დაინერგა და როგორც უკვე ვახსენეთ დაკავებულისათვის უფლებების განმარტება კონსტიტუციით არის გარანტირებული.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დამკავებელი ვალდებულია, დაკავებული დაუყოვნებლივ გადაიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში. ამის შემდგომ დაკავებული უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ, რაზეც უნდა შედგეს სათანადო ცნობა. დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა, დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. მოცემულ ვადაში დაკავებულისთვის დადგენილების არ გადაცემის შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.⁷¹ პროკურორი ან გამომძიებელი ვალდებულია პირის

⁶⁸ ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ექვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ.15

⁶⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015, გვ.514

⁷⁰ *Miranda v. Arizona*, 384 US 436 (1966)

⁷¹ ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ექვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ.16

დაკავებიდან, არა უგვიანეს 3 საათისა დაკავების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მისი ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – რომელიმე ნათესავს ან ახლობელს.თუ დაკავებული სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამისი სახელმწიფოს საკონსულოს⁷². სხვა ეროვნების პირის შემთხვევაში, მას გასაგები ფორმით უნდა შეეტყობინოს დაკავების საფუძველი,დამკავებელი პირის ეს ვალდებულება გულისხმობს, რომ დაკავების მომენტში,პირველივე შესაძლებლობისთანავე დაკავებული პირი უზრუნველყოფილია თარჯიმნის მომსახურებით, რაც გულისხმობს მისთვის გასაგებ ენაზე დაკავების საფუძვლის შეტყობინებას და დაკავების ოქმის თარგმნას⁷³.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირს ათავისუფლებს, თუკი: არ დადასტურდა ეჭვი მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ; პირის დაკავების შესახებ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული, როგორც აღკვეთის ღონისძიება; დაკავების ვადა (72 საათი) ამოიწურა; უფლებამოსილმა სახელმწიფო დაწესებულებამ ან მოხელემ არ დაადასტურა პირის დაკავება; დაკავების პროცესში ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის პროცესის არსებით დარღვევებს⁷⁴.ექსპერტების დასკვნით, საქართველოში დაკვეების ვადები დაცულია. მათი თქმით არ გამოვლენილა ამ ვადების გადამეტების შემთხვევები ან დაცვის ადვოკატთა საჩივარი 72 საათიანი ვადის გადაცილების შესახებ⁷⁵.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის თვალსაზრისით დაკავების მომენტი განსაკუთრებით სახიფათოა,მართალია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო პრაქტიკიდან მსგავს სიტუაციებს მასობრივად არ ვხვდებით, თუმცა არის შემთხვევები,როდესაც დაკავებულთა უფლებები უხეშად

⁷² იქვე გვ.17

⁷³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015, გვ.515-516

⁷⁴ იქვე, გვ.17

⁷⁵ იქვე, გვ.20

ირღვევა, ვინაიდან სამართალდამცავებისგან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, დაკავების დასაბუთების მიზნით ჩვენების ან აღიარების, იძულებით მოპოვებას დაკავებულის მიერ მისი სამართლებრივი წარმომადგენლის მოძიებამდე. სხვა მრავალი ქვეყნის პრაქტიკით ნაჩვენებია, რომ წამების შემთხვევების უმეტესობა ხდება პოლიციის მიერ დაკავებისას, დაკავებულის სასამართლოს წინაშე წარდგომამდე. ასეთი რისკები იზრდება გრძელვადიანი დაკავების დროს, როცა დაკავებული იმყოფება პოლიციაში, მოსამართლის წინაშე წარდგომის და ადვოკატთან წვდომის გარეშე. დაკავებულისთვის გასაგებ ენაზე ბრალდების ხასიათისა და საფუძველის შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობა მომავალში გამოიწვევს დაკავებულის მიერ დუმილის უფლების დარღვევის რისკს ზეწოლისა და იძულების გზით. საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, ნებისმიერ დაკავებულს, დაკავების მომენტში უნდა მიეწოდოს ინფორმაცია დაკავების მიზეზის შესახებ და დაუყოვნებლივ განემარტოს მის წინაშე წაყენებული ნებისმიერი ბრალდების შესახებ.⁷⁶ რა თქმა უნდა, აღნიშნული არ არის წინაპირობა იმისა, რომ პოლიციელთა მხრიდან ყოველთვის აქვს დაკავებულთა უფლებების შელახვას ადგილი. თუმცა ამ კუთხით ძალოვანი სტრუქტურების ოფიცერთა გადამზადება საგრძნობლად შეამცირებდა რისკს მსგავს ქმედებაზე. გარდა გადამზადებისა, საპოლიციო ქვედანაყოფების მონიტორინგის სამსახური ვალდებულია კონტროლი გაუწიოს დაკავებასთან დაკავშირებულ პროცედურებს და მოახდინოს ოფიცერთა მხრიდან თვითნებობის პრევენცია. მაგალითისათვის: უნდა შემოწმდეს ხდება თუ არა/როგორ, დაკავების შესახებ სასამართლოსთვის შეტყობინება და რა დროის განმავლობაში წარადგენენ დაკავებულს მოსამართლის წინაშე; კონტროლის ქვეშ ასაყვანია კანონით განსაზღვრული დაკავების მომენტის, შემდგომ პრაქტიკაში ინტერპრეტირების საკითხი; როდის და როგორ ხდება

⁷⁶ დაკავების მონიტორინგის ინსტრუმენტი-ფაქტების ფურცელი (მეორე გამოცემა): წინასწარი პატიმრობა, რისკფაქტორებთან გამკლავება წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის, 2015 - [ფაქტების-ფურცელი-წინასწარი-პატიმრობა.pdf](https://www.penalreform.org/files/publications/2015-06-25-Prevention-of-ill-treatment-and-torture-in-detention.pdf) ([penalreform.org](https://www.penalreform.org)) (ბოლოს ნანახია 25.06.2021)

დაკავებულების ინფორმირება მათ მიმართ წაყენებული ბრალის ხასიათისა და საფუძვლის, ასევე დუმის უფლების შესახებ; და რამდენად უზრუნველყოფს პოლიცია დაკავებულთათვის შესაძლებლობის მიცემას შეატყობინონ ოჯახს ან ადვოკატს მისი დაკავების შესახებ.

4.2 დაკავების ოქმი

დაკავების ოქმი პირის თავისუფლების აღმკვეთი დოკუმენტია, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო პრაქტიკაში (სსსსკ-ის 175-ე მუხლი) დიდი ადგილი ენიჭება. ფაქტობრივად არ შეიძლება პირის დაკავებულად ცნობა მანამ, სანამ არ იქნება შედგენილი დაკავების ოქმი. კანონმდებლობა დამკავებელ პირს, დაკავების ოქმის შევსების ნებას რთავს უშუალოდ დაკავების ადგილას, ან სამართალდამცავ ორგანოში, დაკავებულის მიყვანისთანავე. დაკავების ოქმის ადგილზე შედგენას დაუყოვნებლივ, დაკავებისთანავე საპროცესო კანონმდებლობა გვავალდებულებს, თუმცა, როდესაც სახეზე გვაქვს შესაბამისი მიზეზი იმისა, რომ ადგილზე დაუყოვნებლივ ვერ ხერხდება დაკავების ოქმის შედგენა, გარკვეული დამაბულობის, მასობრივი არეულობის ან უსაფრთხო გარემოს არ ქონის გამო, ასეთ შემთხვევაში დაკავების ოქმი უნდა შედგეს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე.⁷⁷

დაკავების ოქმი ივსება იმისათვის, რომ მასში ზუსტად განისაზღვროს თუ როდის მოხდა პირის ფაქტობრივი დაკავება, რომელ საათსა და წუთზე. აღნიშნულზე მითითება მნიშვნელოვანია, რათა პირის დაკავების ვადა იქნეს ათვლილი ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან. გარდა ამისა დაკავების ოქმში უნდა მიეთითოს დამკავებელი პირის ვინაობა, უნდა აღიწეროს ის ვითარება, რომელშიც ხდებოდა პირის დაკავება და დაკავების საფუძველი, რაც გახდა წინაპირობა აღნიშნულისათვის. დამნაშავეს

⁷⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015, გვ. 518

შეპყრობის შემთხვევაშიც ეთითება შემპყრობი პირის ვინაობა ის ვითარება,რომელშიც მან შეიპყრო დამნაშავე პირი და საფუძველი დაკავებისა. როდესაც დაკავება ხდება სასამართლოს განჩინებით ოქმში უნდა ჩაიწეროს განჩინების თარიღი და ნომერი, ხოლო სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების შემთხვევაში ოქმში უნდა მიეთითოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ის კონკრეტული საფუძველი,რომელიც საჭიროებდა პირის დაკავებას.როდესაც დგება პირადი დათვალისწინების/ჩხრეკის ოქმი დაკავების ოქმთან ერთად ,მასში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს დაკავებული პირის პირადი დათვალისწინების/ჩხრეკის ან მასთან არსებული ნივთების დათვალისწინების/ჩხრეკის შედეგად იქნა თუ არა აღმოჩენილი რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი/ნივთიერება ან ისეთი სახის მტკიცებულება,რომელიც დაადასტურებს მის დამნაშავეობას.საპროცესო კანონმდებლობა ასახელებს იმ პირთა ნუსხას,რომლებიც ხელს აწერენ დაკავების ოქმს, ესენია: დამკავებელი პირი, დაკავებული და მისი ადვოკატი (მისი ყოფნის შემთხვევაში),ხოლო სამართალდამცავ ორგანოში, მიყვანისთანავე ოქმს ხელს აწერს აღნიშნული ორგანოს უფლებამოსილი პირი კონკრეტული სამმართველოს უფროსი ან უფროსის მოადგილე.პრაქტიკაში გვაქვს შემთხვევები,როდესაც დამკავებელი პირი არის სხვა, ხოლო ოქმი შეადგინა სხვა უფლებამოსილმა პირმა, ასეთ დროს დაკავების ოქმს ხელს ორივე მათგანი აწერს.⁷⁸

დაკავების ოქმის ასლის დაკავებულისათვის გადაცემას საპროცესო კანონმდებლობით დიდი ყურადღება ენიჭება, რადგან ოქმის ასლის გადაუცემლობის შემთხვევაში დაკავებული პირი დაუყოვნებლივ თავისუფლდება⁷⁹.დაკავების ოქმის კანონიერად შედგენა სამართალდამცავთა ვალდებულებაა,რომელსაც საბოლოოდ ხელის

⁷⁸სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015, გვ.519-521

⁷⁹საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2021, 175-ე მუხლი, მე-4 ნაწილი

მოწერით ადასტურებენ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები და დაკავების ოქმის ასლს გადასცემენ დაკავებულ პირს.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის თვალსაზრისით, დოკუმენტალურად(ოქმით) დაუფიქსირებელი დაკავების შემთხვევები იძულებითი გაუჩინარებისა და თვითნებური დაკავების ტოლფასია. „გაეროს პრინციპები ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის შესახებ“, განახლებული სტანდარტული მინიმალური წესებით ითვალისწინებს ზუსტი ჩანაწერის გაკეთების ვალდებულებას დოკუმენტურად დაფიქსირდეს: თითოეული დაკავებულის ვინაობა;დაკავების საფუძველი,დაკავების თარიღი და დრო, დამკავებელი უწყება და დამკავებლის ვინაობა;დაკავებული პირის პატიმრობის ან სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანის,გათავისუფლების და ნებისმიერი გადაყვანის თარიღი და დრო; და ნებისმიერი ხილული დაზიანების დოკუმენტში დაფიქსირება/აღწერა.⁸⁰დაკავებულთათვის მინიჭებული აღნიშნული გარანტიების ზედამხედველობა მნიშვნელოვანია მათი უფლებების დაცვისათვის და სამართალდამცავთა თვითნებობის პრევენციისათვის.მონიტორინგის სამსახურებმა უნდა შეამოწმონ კანონმდებლობაში არსებობს თუ არა დაკავებისა შესახებ ჩანაწერის გაკეთების აუცილებლობა;რა სახის მონაცემების დოკუმენტირება ხდება და ფიქსირდება თუ არა ყველა ის საჭირო დეტალი,რაც დაკავების მომენტს ადასტურებს;დაკავებულ პირსა და მის დამცველს აქვს თუ არა ჩანაწერებზე წვდომა,რამდენად გააცნეს მათ ის და გადაეცათ თუ არა დაკავების ოქმის ასლი.

4.3 დაკავების ვადა

⁸⁰დაკავების მონიტორინგის ინსტრუმენტი-ფაქტების ფურცელი (მეორე გამოცემა):წინასწარი პატიმრობა, რისკფაქტორებთან გამკლავება წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის, 2015 - [ფაქტების-ფურცელი-წინასწარი-პატიმრობა.pdf](https://www.penalreform.org/files/publications/2015-Prevention-of-Torture-and-ill-treatment-in-detention.pdf) ([penalreform.org](https://www.penalreform.org)) (ბოლოს ნანახია 25.06.2021)

საქართველოს უზენაესი კანონის, კონსტიტუციის მე-13 მუხლის, მე-3 ნაწილის მიხედვით დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა.თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს⁸¹.დაკავების კანონიერებისათვის მნიშვნელოვანია დაკავების ვადის დაცვა,როგორც დაკავებულ პირთა უფლებების კუთხით ისე დაკავების კანონიერების განსამტკიცებლად.საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით დაკავების მაქსიმალურ ვადად 72 საათია განსაზღვრული.მოცემული ვადისათვის მნიშვნელოვანია ზუსტად იქნეს დაცული დაკავების ფაქტობრივი დრო.დაკავების ოქმში მითითებულია სპეციალური გრაფები,როგორც დაკავების ფაქტობრივი დროის ჩასაწერად, ასევე ოქმის შევსების დაწყების დროც.მნიშვნელოვანია,რომ დაკავების საერთო ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს ფაქტობრივი დაკავებიდან კანონით დადგენილ 72 საათს⁸². უშუალოდ დაკავების პროცესის ზუსტი ვადა საერთაშორისო კანონმდებლობით არ არის დადგენილი,კანონში მითითებულია მხოლოდ „დაუყოვნებლივ“ პირის დაკავების ვალდებულება.ტერმინი „დაუყოვნებლივ“ მიუთითებს პირის დაკავებასთან/პატიმრობასთან დაკავშირებულ ნებისმიერი თვითნებობის აკრძალვაზე⁸³. ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს, ყველა დაკავებულის ან დაპატიმრებულის დაუყოვნებლივ მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე წარდგენას,რათა მიეცეს მას უფლება ,მისი საქმე განხილულ იქნეს გონივრულ ვადაში⁸⁴.

⁸¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 13

⁸² საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, გვ.231

⁸³მჭედლიძე ნ.(რედ), ჭელიძე ლ.(მთარგ.), პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება), ევროპის საბჭო, თბილისი, 2004, გვ.85

⁸⁴იქვე, გვ.85

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანხმად დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა დაკავებულ პირს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება,ეს ის ვადაა როდესაც უნდა მოხდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენაც. დაკავების ვადის დაცვა და სისწორე მნიშვნელოვანია თითოეული დაკავებული პირის უფლებრივი მდგომარეობისათვის, რათა არ შეელახოთ მათ ის,ამისათვის კი სამართალდამცავი ორგანოების მიერ უპირობოდ მნიშვნელოვანია კანონის ფარგლებში პირთა დაკავებისათვის მოცემული ვადების სწორად განსაზღვრა.

დაკავების ადგილიდან პოლიციის განყოფილებამდე,სხვა დაწესებულებაში და დაწესებულებიდან სასამართლოში ტრანსპორტირება ასევე წარმოადგენს წამებისა და არასათანადო მოპყრობის მხრივ განსაკუთრებული რისკის სიტუაციებს,რასაც სხვა ქვეყნების პრაქტიკაც ცხადყოფს.ანგარიშებში აღნიშნულია არასათანადო მოპყრობის შესახებ პოლიციის სატრანსპორტო საშუალებებში ან პირების გადაყვანის და წამების თაობაზე არასაზოგადოებრივ ადგილებში.⁸⁵მართალია საქართველოს სამართლებრივი პრაქტიკა ამ მხრივ დიდი რისკის წინაშე არ დგას და არ ვხვდებით მასობრივად მსგავს სიტუაციებს, თუმცა გარკვეულწილად არის მცდელობები,რაც გადახედვასა და პრევენციის გზების მოძიებას საჭიროებს.

არსებობს რამდენიმე სტანდარტი, რომელშიც მოცემულია დაკავებულთა ტრანსპორტირების დროს წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის გარანტიები პოლიციის განყოფილებებში და დაკავების ლოკაციებზე ვიდეო კამერების გამოყენების გზით⁸⁶.აღნიშნული გარანტია,რაც ვიდეო-ჩანაწერის არსებობას გულისხმობს საქართველოში

⁸⁵დაკავების მონიტორინგის ინსტრუმენტი-ფაქტების ფურცელი (მეორე გამოცემა):წინასწარი პატიმრობა, რისკფაქტორებთან გამკლავება წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის, 2015 - [ფაქტების-ფურცელი-წინასწარი-პატიმრობა.pdf](http://penalreform.org) (penalreform.org) (ბოლოს ნანახია 25.06.2021)

⁸⁶ იქვე.

უკვე მყარადა დანერგილი პრაქტიკაა, რომლის გარეშეც თითქმის არასდროს აქვს ადგილი პირთა დაკავებას. არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც გარკვეული ფორსმაჟორების დროს ვერ ხერხდება ნაწილობრივ ან სრულად დაკავების პროცედურების ვიდეო-ჩანაწერებში ასახვა. არის შემთხვევები, როდესაც განზრახ ხდება კამერების არ გამოყონება და სწორედ მსგავსი თვითნებობის პრევენციისათვის არის აუცილებლობა მეთვალყურეობის დაწესება მონიტორინგის ორგანოების მხრიდან: თუ რადენად ხდება დაკავებულების პირველად დაწესებულებაში პირდაპირ და დაუყოვნებლივ გადაყვანა; კეთდება ადგილზე მისვლის დროების და დამკავებლის გადამყვანის შესახებ; არსებობს თუ არა რაიმე სახის ვიდეო-ჩანაწერი, რომელიც გააკონტროლებს ტრანსპორტირების დროს სამართალდამცავთა ქმედებას ან თუნდაც სატრანსპორტო საშუალების მარშრუტს.

IV. დაკავების წესი ევროპული სტანდარტებით

4.1 დაკავებასთან დაკავშირებული სტანდარტები ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად და მისი შედარება ეროვნულ კანონმდებლობასთან

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, გარდა ისეთი შემთხვევებისა როდესაც: უფლებამოსილი სასამართლო მსჯავრდების შემდგომ ახდენს პირის მართლზომიერ დაპატიმრებას; დაკავებას ისეთ შემთხვევაში, როცა პირი არ ასრულებს

უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მისთვის დაკისრებულ მართლზომიერ ბრძანებას ან კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ ვალდებულებას; უფლებამოსილი სასამართლო ხელისუფლების წინაშე წარდგენის მიზნით მართლზომიერი დაკავება ან დაპატიმრება, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდგომ მიმალვის საფრთხე⁸⁷. ამ მუხლის დებულებების შესაბამისად ყველა დაკავებული/დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს, რომელსაც აქვს უფლება სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარებაზე ან პროცესის განმავლობაში პირის გათავისუფლებაზე. ყველა ის პირი, ვინც თავისუფლება აღკვეთილია დაკავებით ან დაპატიმრებით უფლება აქვს აწარმოოს სასამართლო პროცესი, სადაც სწრაფად უნდა გადაწყდეს დაკავების ან დაპატიმრების მართლზომიერება, დაკავების ან დაპატიმრების არამართლზომიერების დადგენისთანავე იგი დაუყოვნებლივ თავისუფლდება⁸⁸.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობის და ითვალისწინებს უფლებამოსილი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე პირადი თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვის დაუშვებლობას. უზენაესი კანონი ახდენს კონტროლს ქვემდგომ კანონებზე და განსაზღვრავს დაკავების დასაშვებობას. დაკავებაზე ხსენებული კონტროლით კონსტიტუცია ხაზს უსვამს თავისუფლების აღკვეთის პირველ სტადიაზე. გარდა ამისა უზენაესი კანონი ითვალისწინებს დაკავებისა და თავისუფლების აღკვეთის მართლზომიერებაზე ერთჯერად სასამართლო კონტროლს, კონსტიტუცია დაუშვებლად ცნობს ისეთი სახის თავისუფლების აღკვეთას, სადაც პირის მიმართ გამოყენებულია ფიზიკური თუ ფსიქიკური იძულება. საქართველოს

⁸⁷ კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005, გვ.78

⁸⁸ იქვე, გვ.78-79

უზენაესი კანონი ითვალისწინებს დაკავებული/დაპატიმრებული პირების გარანტიებსა და დაკავება/დაპატიმრების მაქსიმალურ ვადებს.⁸⁹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით თავისუფლების აღკვეთასთან მიმართებით სასჯელის ოთხ სახეს ვხვდებით: თავისუფლების შეზღუდვა, ტუსაღობა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა⁹⁰.

ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს, გარდა სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობას, კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული დაკავების სამ საათიანი ვადით⁹¹.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაკავების და აღკვეთი ღონისძიების შემდგომ სახეებს ითვალისწინებს: დაპატიმრება, შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, გაუსვლელობის შესახებ ხელწერილის ჩამორთმევა, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობას და იძულების სხვა ღონისძიებებს.

ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-5 მუხლის, პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტის თანახმად, როგორც ეს დასაწყისში ვახსენეთ, შესაძლებელია უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდგომ პირის მართლზომიერი დაპატიმრება, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაუშვებელია, აღნიშნულს ამყარებს სსსსკ-ის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც განმარტავს, რომ მხოლოდ სასამართლო არის უფლებამოსილი პირი ცნოს დამნაშავედ და დაუნიშნოს მას სასჯელი. ეროვნული

⁸⁹ იქვე, გვ. 81

⁹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2021, მუხლი 40

⁹¹ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 2021, მუხლი 32

კანონმდებლობით პირი გამართლების შემთხვევაში დაუყოვბლივ თავისუფლდება⁹².

მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად დასაშვებია იმ პირთა დაკავება, რომლებიც არ დაემორჩილნენ მის მიმართ სასამართლოს ბრძანებას. ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში ლილესი ირლანდიის წინააღმდეგ დაადგინა, რომ აღნიშნული პუნქტი/ქვეპუნქტი დაკავებას ითვალისწინებს, როგორც კანონით დაკისრებულ კონკრეტულ მოვალეობათა აღსრულებას⁹³. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებას აკისრებს იმ პირებს, რომლებიც კანონისმიერად არიან გამოძახებული მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის წინაშე სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მათ იძულებით მიიყვანენ სასამართლო ორგანოს წინაშე⁹⁴.

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის თანახმად პირის მართლზომიერი დაკავება/დაპატიმრება დასაშვებია უფლებამოსილი სასამართლოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა, ან დანაშაულის ჩადენის/ჩადენის შემდგომ დამნაშავე პირი ეცდება მიმალვას. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოითხოვს, როგორც გონივრულ-*bona fide*⁹⁵ ეჭვს, ისე სხვა მტკიცებულებებისა და ფაქტების არსებობას იმისათვის, რომ სასამართლოს წინაშე დამტკიცდეს ეჭვი

⁹²კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005, გვ.83

⁹³ *Lawless v. Ireland*, Series A no. 3, 1960

⁹⁴კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005, გვ.85

⁹⁵*Bona Fide* - გონივრული ეჭვი

დაკავებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებასთან კავშირში.⁹⁶

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტზე დაყრდნობით, პირის დაკავება დასაშვებია უფლებამოსილი პირის მიერ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლი ითვალისწინებს პირის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთას დაკავების გზით, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი და ეჭვი პირის მიმართ დანაშაულის ჩადენაში, ასევე მისი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთის, გაქცევის ან მიმალვის საფრთხეების თავიდან აცილებისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მიხედვით აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება, თუ საქმეში არსებული მტკიცებულებები იძლევა იმის საფუძველს, რომ ვივარაუდოთ მისი უზრუნველყოფა. ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დაემალება გამოძიებას და სასამართლოს, ან ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეში ქვეყნის დადგენას.

4.2 დაკავების წესი ანგლო-ამერიკული სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში

ანგლო-ამერიკული სამართალი იყოფა ინგლისური და ამერიკული სამართლის ქვეყნებად. ინგლისურ სამართალს იზიარებს სახელმწიფოები, მაგალითად: ავსტრალია, ინგლისი, უელსი, კანადა, ინდოეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ახალი ზელანდია, პაკისტანი, ბანგლადეში, მალაიზია, ბირმა, ფიჯი, ნიგერია, უგანდა, ნაურუ და სინგაპური, ხოლო ამერიკული სამართლის ქვეყნებს განეკუთვნება ამერიკის შეერთებული შტატები (გარდა

⁹⁶კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005, გვ.87

ლუიზიანას შტატისა, რომლის სამოქალაქო სამართალშიც ფრანგული სამართლის ტრადიციებია დანერგილი), პალაუ, მარშალის კუნძულები⁹⁷.

ეროვნული სამართლის მსგავსად ინგლისისა და უელსის ქვეყნებში, სისხლის სამართლის საპროცესო იძულებას/დაკავების ღონისძიებას ახორციელებს პოლიცია, რომელიც ხელმძღვანელობს 1984 წელს, წერილობით მიღებული სამართლებრივი აქტით, კანონი „პოლიციისა და სისხლის სამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“, რაც შემდგომში საფუძლად დაედო კანონს „პრაქტიკის კოდექსი“.⁹⁸

ზემოაღნიშნული კანონი სახელწოდებით „PACE“ (პოლიციისა და სისხლის სამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ) გვევლინება, როგორც ნოვატორი პოლიციის მიერ ბრალდებულის დაკავების საკითხსა და პრაქტიკაში კანონის მთავარ დებულებას წარმოადგენს ის, რომ ერთმანეთს ემიჯნება დაკავებადი და არადაკავებადი დანაშაულები. მაგალითად დანაშაული დაკავებადია თუ ეს კონკრეტული დანაშაული, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთი ან მეტი წლის ვადით და ჩადენილია 21 წლის ასაკს მიღწეული, ნასამართლობის არმქონე პირის მიერ.⁹⁹ დაკავების ზოგად პრინციპებს ადგენს კანონის 25-ე მუხლი. მაგალითად, კონსტებელს (იგივე პოლიციელი) უფლებამოსილება პირის დაკავებაზე ენიჭება მაშინ, როდესაც: ვერ ხერხდება პირის იდენტიფიცირება; პირი იტყუება თავის ვინაობასთან დაკავშირებით; უწყების გასაგზავნად მისამართის დადგენა ვერ ხერხდება; აღნიშნული კანონით დაკავება აუცილებელია პირის მიერ თავისთვის ან სხვისთვის ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის მიყენების, მთავარ გზაზე მოძრაობის კანონშეუსაბამო შეფერხების აღსაკვეთად და პირისგან ბავშვის ან სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფის დასაცავად.¹⁰⁰ „Breach of the peace“

⁹⁷ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ.213-216

⁹⁸ვინგარტი კ.(რედაქტორი), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993, გვ.102

⁹⁹Police and Criminal Evidence “PACE”, Act 1984, section 24

¹⁰⁰იქვე, section 25

(მშვიდობის დარღვევა) საფუძვლით ნებისმიერ პირს შეუძლია დააკავოს მეორე პირი, თუ ის მისი თანდასწრებით დაარღვევს მშვიდობას¹⁰¹.

კონტინენტური ევროპის სამართალში გამოიყოფა რომანული სამართლისა და გერმანული სამართლის ქვეყნები. რომანული სამართლის წევრი ქვეყნებია: საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, მონაკო, ჰაიტი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია. ხოლო, გერმანული სამართლის წარმომადგენელია: გერმანია, ავსტრია, ლიხტენშტაინი, შვეიცარია, თურქეთი, საბერძნეთი და მათ შორის საქართველო¹⁰².

ბელგიის კანონმდებლობით, პირის დაკავების განსახორციელებლად მნიშვნელოვანი საფუძველია დანაშაულზე წასწრება. პოლიციელს ენიჭება უფლებამოსილება გამოიყენოს პირის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიება და აღნიშნული საფუძვლით დააკავოს პიროვნება. ამავე საფუძვლით პირის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, პირის დაკავებაზე გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს წარმოადგენს პროკურორი. ბელგიაში დაკავების მაქსიმალური ვადა არის 24 საათი. 24 საათზე მეტი ვადით თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოსამართლის გადაწყვეტილებით¹⁰³

საფრანგეთის სამართლის მიხედვით პირის დაკავება, რასაც „საპოლიციო დაკავებას“ უწოდებენ შეიძლება განხორციელდეს მისი დაკითვის მიზნით. აღნიშნული დაკავების დროს ადვოკატის მონაწილეობა არ დაიშვება, თუმცა დაკავებიდან 20 საათის შემდეგ შეუძლია მოითხოვოს ადვოკატთან შეხვედრა. საფრანგეთის სსსკ-ის თანახმად, 24 საათზე მეტი დროით პირის მიმართ დაკავების გახანგრძლივება დამატებით 24 საათის განმავლობაში შეუძლია პროკურორს, რისთვისაც უნდა არსებობდეს საკმარისი მტკიცებულებები¹⁰⁴.

¹⁰¹ ვინგარტი კ. (რედაქტორი), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993, გვ. 104

¹⁰² ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 212-213

¹⁰³ ვინგარტი კ. (რედაქტორი), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993, გვ. 40

¹⁰⁴ იქვე, გვ. 137

იქედან გამომდინარე, რომ ქართული სამართალი ეფუძნება გერმანულ სამართალს, საქართველოში მოქმედი დაკავების წესი მსგავსია რომანულ-გერმანულ სამართლის ქვეყნებში დანერგილი წესებისა, ხოლო ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში არსებულ სტანდარტებს, ეროვნული კანონმდებლობა არ ემყარება რაც ზემოაღნიშნულ ქვეთავში ნათლად იკვეთება.

5. სტატისტიკური ანალიზი დაკავებულ პირთა შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საჯარო ინფორმაციის სახით ყოველწლიურად აქვეყნებს სტატისტიკას დაკავებულ პირთა შესახებ¹⁰⁵. სტატისტიკა ასაჯაროებს ინფორმაციას დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებული პიროვნებების რაოდენობის შესახებ. ამის გარდა ინფორმაცია მოიცავს თუ რამდენ ადამიანს აღნიშნებოდა სხეულზე დაზიანება როგორც დაკავებამდე/დაკავებისას და დაკავების შემდეგ, ასევე დაფიქსირებულია აღნიშნულზე რამდენმა პიროვნებამ გამოთქვა პრეტენზია პოლიციელის მიმართ. დაკავებულთა რაოდენობა ჩაშლილია ასაკისა და სქესის მიხედვით მათგან რამდენი იქნა გადაყვანილი: სასამართლოში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში, სამკურნალო დაწესებულებაში, თუ რამდენი გათავისუფლდა მოსამართლის, გამოძიების, დამკავებლის მიერ ხელწერილით და რამდენს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი.

საინტერესოა აღნიშნული სტატისტიკური ანალიზი განხილულ იქნეს 2015 წლიდან, 2021 წლის ჩათვლით.

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2015 წელს შესახლებულ პირთა სტატისტიკური მონაცემებით იზოლატორში მოთავსებულ იქნა სულ -

¹⁰⁵ [საჯარო ინფორმაცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო \(police.ge\)](http://www.police.ge)

16416 პირი,რომელთაგანაც 5992 პირს სხეულზე აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაზიანება.პოლიციის მიმართ პრეტენზია გამოთქვა 225 პირმა. დაკავებულთა შორის არასრულწლოვანია 252 პირი.მდედრობითი სქესისაა 447 ადამიანი,რომელთაგან სხეულზე არსებული სხვადასხვა სახის დაზიანებით 156 პირია.ზემოთხსენებულ დაკავებულთაგან სასამართლოზე გადაყვანილ იქნა 14592 პირი,სასჯელადსრულების დაწესებულებაში გადაყვანილია 5989 პირი ,მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში კი 7 პირი. მათგან მოსამართლის მიერ გათავისუფლებულია 792 პირი;გამომიების მიერ 940 პირი;დამკავებლის მიერ ხელწერილით გათავისუფლებულია 537 პირი.აღნიშნული დაკავებულებიდან ადმინისტრაციული სახდელი შეეფარდა 8151 პირს; ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა 998 პირს; ადმინისტრაციული ჯარიმა შეეფარდა 6247 პირს ;გაფრთხილება მიიღო 857 პირმა.სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანილი იქნა - 241 პირი¹⁰⁶.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2016 წელს შესახლებულ პირთა სტატისტიკური მონაცემებით დგინდება,რომ სულ იზოლატორში მოთავსებულია - 13081 პირი,რაც 2015 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე ნაკლებია.მათ შორის: არასრულწლოვანი - 125 პ ი რ ი მდედრობითი სქესის - 352¹⁰⁷. 2017 წელს კიდევ უფრო მცირდება 2016 წლის მონაცემები.შსს-ს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებული იქნა სულ 11 812 პირი, საიდანაც 102 პირი იყო არასრულწლოვანი, ხოლო 316 მდედრობითი სქესის¹⁰⁸.

წინა წლებთან განსხვავებით 2018 წლიდან შსს ინფორმაციას იძლევა ზუსტი ოდენობის შესახებ, თუ რამდენი პირი იყო დაკავებული სისხლის სამართლის და რამდენი ადმინისტრაციული წესით. 2018 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებული იქნა სულ 12 995 პირი, საიდანაც

¹⁰⁶ [5cf4bfa743196.pdf \(police.ge\)](#)

¹⁰⁷ [5cf4bfe6df068.pdf \(police.ge\)](#)

¹⁰⁸ [5cf4c012b698f.pdf \(police.ge\)](#)

წინა წლის მონაცემის მსგავსად, არასრულწლოვანი იყო მხოლოდ 102, ხოლო მდედრობითი სქესის 2018 წელს იყო 380 პირი. აღნიშნული წლის მონაცემების თანახმად, სისხლის სამართლის წესით დაკავებულ იქნა 7 764 პირი, ადმინისტრაციული სამართლის წესით 5 188 პირი, ხოლო მიგრანტი - 43 პირი¹⁰⁹.

2019 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი შსს-მ მეტად დახვეწილი და სრულყოფილი ფორმით შემოგვთავაზა, სადაც მუხლობრივად არის ჩაშლილი თავისუფლებაზე ზღუდულ პირთა რაოდენობა. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, 2019 წელს იზოლატორებში სულ მოთავსებულია 15191 პირი, რაც წინა წლებთან შედარებით საკმაოდ გაზრდილი მაჩვენებელია, აქედან სისხლის სამართლის წესით 9567; ადმინისტრაციული წესით 5596; მიგრანტი - 25 პირი. მათგან 196 პირი არასრულწლოვანია, ხოლო მდედრობითი სქესისაა 445 ადამიანი. 2020 წლის მონაცემებით იზოლატორებში სულ მოთავსებულია 11 891 პირი, აღნიშნული კი წინა წელთან შედარებით 3 300 პირით არის შემცირებული. მათგან სისხლის სამართლის წესით 7719 ; ადმინისტრაციული წესით 4163 ; აქედან მიგრანტი 8. დაკავებულთაგან არასრულწლოვანია 158 პირი ხოლო მდედრობითი სქესის არის 236 ადამიანი¹¹⁰.

აღნიშნული კუთხით საინტერესოა დღევანდელი ვითარება თუ რა მდგომარეობაა 2021 წელს, ამა წლის I კვარტალში იზოლატორებში მოთავსებულია 3217 პირი, მათგან სისხლის სამართლის წესით 2246; ადმინისტრაციული წესით 971 ; მიგრანტი -0 ; არასრულწლოვანია 28 პირი, ხოლო მდედრობითი სქესის 59¹¹¹.

2015-2021 წლების სტატისტიკური მაჩვენებლები ცხადყოფს დაკავებულ პირთა არა მხოლოდ ზრდადობას, არამედ კლებასაც კი. თუმცა დღევანდელი მონაცემებით საკმაოდ გაზრდილია რაოდენობა, რაც მიუთითებს

¹⁰⁹ [საჯარო ინფორმაცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო \(police.ge\)](http://საჯარო ინფორმაცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (police.ge))

¹¹⁰ [საჯარო ინფორმაცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო \(police.ge\)](http://საჯარო ინფორმაცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (police.ge))

¹¹¹ [საჯარო ინფორმაცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო \(police.ge\)](http://საჯარო ინფორმაცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (police.ge))

სახელმწიფოში არსებულ კრიმინოგენური მდგომარეობის და საზოგადოების დამნაშავეობრივი ქმედებების განხორციელების ზრდას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში განხილულ იქნა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ადამიანის ფუნდამენტური უფლების პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი თავისუფლების ხელმყოფი ღონისძიება-პირის დაკავება, საერთო სასამართლოების, სისხლის სამართლის პროცესის, საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული სტანდარტების ჭრილში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კვლევის საფუძველზე, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული პრობლემები და აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანი ხარვეზები.

წარმოდგენილი ნაშრომის პირველი თავი ეთმობა თავისუფლების უფლებას, რომელიც აღიარებული და უზრუნველყოფილია არა ერთი საერთაშორისო კონვენციითა და დეკლარაციით. პიროვნების თავისუფლება განხილულია ევროპული კონვენციის მე-5 მუხლში ასახული უფლებრივი მდგომარეობით, რომელიც ფუძემდებლური ფასეულობაა და დემოკრატიულ საზოგადოებაში ბევრი სხვა უფლებისა და თავისუფლების სრული განხორციელების წინაპირობაა. აღნიშნული თავის ქვეთავში გამოყოფილია ევროპული კონვენციის ებური თვალსაზრისით ტერმინების პიროვნების პირადი „თავისუფლების“, „უსაფრთხოების“ , აგრეთვე „სამართალდარღვევისა“ და „გონივრული ეჭვის“ განმარტება, რაც მეტად გასაგებს ხდის კონვენციის მიერ აღქმულ უფლებას თავისუფლებაზე.

ნაშრომის მეორე თავი პირის დაკავების ფაქტობრივ და ფორმალურ საფუძვლებს უკავშირდება, რომლის განხილვაც პირველ რიგში დაკავების არსის დადგენით იწყება, სადაც საუბარია დაკავებისათვის მახასიათებელ

ნიშნებსა და ელემენტებზე.დაკავების საფუძველი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არის განხილული მეორე თავის ქვეთავში,რასაც მოსდევს პირის მიმალვისა და სასამართლოში არ გამოცხადების საფრთხე,რომლის დასადგენადაც კანონი დამკავებელ პირს აკისრებს საქმეში მოცემული გარემოებების,პირის თვისებების და მიმალვის გეგმის კონკრეტული ნიშნების სწორ ანალიზსა და შეფასებას.გარდა ამისა კანონი არ აყალიბებს კონკრეტულ ნიშან-თვისებათა ჩამონათვალს,რაც დაგვარწმუნებდა მიმალვის საფრთხის რეალურობაში,ეს კი პრობლემურ საკითხად მიგვაჩნია პირის მიმალვის საფრთხის დადგენასთან მიმართებით,რაც პირდაპირ შემხებლობაშია კანონში არსებულ ხარვეზთან.ამ პრობლემის აღმოფხვრის გზად, საპროცესო კანონმდებლობის გადახედვა მივიჩნიეთ,ასევე პრაქტიკული ნაწილის გამარტივება,ნიშან-თვისებათა კონკრეტიკით,რაც სიმარტივესა და სიზუსტეს შესძენდა კანონს, მიმალვის რეალური საფრთხის გამოკვლევასა და დამკავებელ პირთა თვითნებობის პრევენციაზე.საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხეს მოიცავს შემდგომი ქვეთავი,რომელიც ისეთივე საფრთხილო და სწორად შესაფასებელია, როგორც პირის მიმალვის საფრთხის დადგენა.საქმიდან გამომდინარე სახეზე უნდა იყოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები,რომლებიც მოასწავებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხეს.საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე ხარვეზს აღნიშნულზე,რადგან კანონში ზუსტად არის ჩამოყალიბებული თუ რა ჰქმნის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხეს,ხოლო დამკავებელს არ აკისრებს ვალდებულებას თავად განსაზღვროს საფრთხის ხასიათი.დაკავებას ახალი დანაშაულის საფრთხის არსებობისას, ეთმობა მომდევნო ქვეთავი,რომლისთვისაც წინა საკითხის მსგავსად მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მისი ხასიათი და ბუნება.ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის გამოსაკვეთად სისხლის სამართლის საპროცესო პრაქტიკაში გარკვეული კრიტერიუმებია ჩამოყალიბებული,სწორედ ეს კრიტერიუმებია,რომელიც ხარვეზს არ

აფიქსირებს კანონში და მათი კუმულაციურობის ფონზე მარტივს ხდის დაკავების დასაბუთების პროცედურას.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ არის საკმარისი მხოლოდ პირის მიერ ჩადენილი ქმედების არსებობა,ამასთან მნიშვნელოვანია ზემოთ ხსენებული ქვეთავების საფუძვლიანი არსებობა,რათა დადგეს შუამდგომლობა პირის დაკავების შესახებ და განისაზღვროს განჩინების სამართლებრივი მოქმედება.სწორედ ამ საკითხს ეხება შემდგომი ქვეთავი.საუბარია შუამდგომლობაში დაკავების ისეთი ფორმალური საფუძვლის მითითებაზე, რომელიც სახეზეა,ხოლო სხვა ფორმალური საფუძვლის არ არსებობის შემთხვევაში მისი მითითება დაუშვებელია.ხსენებული ქვეთავი პრაქტიკიდან კვეთს პროკურორთან დაკავშირებულ პრობლემას მათი მხრიდან არსებული ფორმალური საფუძვლების უგულვებელყოფისა და სათანადოდ არ დასაბუთების ფაქტზე.აქვე გამოყოფილია სპროკურორის ვალდებულება დეტალურად დაასაბუთოს თითოეული ფორმალური საფუძველი ცალ-ცალკე და ისე მიუთითოს შუამდგომლობაში.სხვა რიგ ხარვეზებს ვხვდებით პირის დაკავებისას სასამართლოს განჩინების ფარგლებში.იგულისხმება,საპროცესო კანონით დაკავების შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა,რაც სასამართლოს მხრიდან არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების საფრთხის შემცველია.ვფიქრობთ მნიშვნელოვანია შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვა,რათა პროკურორსაც შეეძლოს თითოეული ფორმალური საფუძვლის დეტალური დახასიათება,რაც აგრეთვე აღმოფხვრის მათი მხრიდან არსებული საფუძვლების უგულვებელყოფის საკითხს.მოქმედი კანონმდებლობით დაკავების შესახებ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება,რაც მივიჩნით,რომ მხარეებს უზღუდავს შესაძლებლობას ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრონ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება და მხარეთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით საპროცესო

კანონმდებლობა გადახედვას საჭიროებს. პრაქტიკაში გავრცელებულია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პირის დაკავება მოსამართლის განჩინების გარეშე. დეტალური აღწერით შემოვიფარგლეთ ნაშრომის შემდეგ ქვეთავში, სადაც დაკავებაზე უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, პირადი შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას, რომლის კანონიერებასაც შემდგომში ადგენს მოსამართლე. ქვეთავი ვრცელია და მოიცავს სსსსკ-ის 171-ე მუხლის, მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პუნქტებს პირის სასამართლო განჩინების გარეშე დაკავების შესაძლებლობის შესახებ.

მესამე და ყველაზე ვრცელი თავი დაკავების წესს მოიცავს, რომელშიც გადმოცემულია დაკავებაზე უფლებამოსილ პირთა ფუნქციები და ვალდებულებები. აღნიშნულ კონტექსტში მიმოვიხილეთ კერძო პირების მიერ დანაშაულზე წასწრების შემთხვევები და დამნაშავის შეპყრობის განხორციელების წესი. აღნიშნული თავის ქვეთავში განვიხილეთ სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ პირი, კერძოდ საუბარია პროკურორის ექსკლუზიურ უფლებაზე. იმუნიტეტის მქონე პირების დაკავების წესს უკავშირდება მომდევნო ქვეთავი, სადაც სათითაოდ არის განხილული აბსოლუტური და შეზღუდული იმუნიტეტის მქონე პირთა მიმართ იძულების ღონისძიების გამოყენების წესი. არაიდენტიფიცირებული პირის დაკავების წესის განხილვისას, შემდგომ ქვეთავში ხაზი გაესვა აღნიშნულისათვის საპასუხისმგებლო და ოპერატიულ მოქმედებებს და სხვა რიგ დაბრკოლებებს.

დაკავების პროცედურასთან დაკავშირებულ ქვეთავებში დეტალურად ვიმსჯელებთ დაკავების საფუძვლის შეტყობინების, დაკავების ოქმისა და დაკავების ვადებთან წარმოშობილ ხარვეზებზე და მათი გამოსწორების გზებზე. სამივე პროცედურულად განხილულ იქნა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ჭრილში, ისე წამებისა და არასათანადო მოპყრობის თვალსაზრისითაც. საიდანაც იკვეთება სამართალდამცავი ორგანოების

მხრიდან მთელი რიგი გადაცომებისა და თვითნებური ქმედებებისა, რომლის აღმოფხვრის შესაძლებლობა სხვა და სხვა დანაყოფების მონიტორინგის სამსახურების კომპეტენციად გავმიჯნეთ.

მეოთხე თავი სრულებით ეძღვნება დაკავების წესის ევროპულ სტანდარტებს, სადაც ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი შევადარეთ ეროვნულ კანონმდებლობას, კერძოდ საქართველოს უზენაეს კანონს-კონსტიტუციას, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სანქციებსა და სისხლის სამართლის პროცესის მიერ დადგენილ ღონისძიებებს. დაკავების წესი გარდა საქართველოს მაგალითისა, მიმოვიხილეთ ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ქვეყნების პრაქტიკიდანაც, რაც მეტად გასაგებს ხდის ნაშრომის სათაურის მიზანს, დავადგინოთ სისხლის სამართლის პროცესში არსებული სტანდარტები, შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტებთან. ბოლო ქვეთავი დაკავებულ პირთა ბოლო ხუთი წლის სტატისტიკურ ანალიზს უკავშირდება, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველწლიურად გვთავაზობს. სტატისტიკა ცხადყოფს დაკავებულ პირთა ზრდისა და კლების მაჩვენებელს 2015 წლიდან დღემდე, რაც გვეხმარება სახელმწიფოში არსებულ კრიმინოგენური მდგომარეობის და საზოგადოების დამნაშავეობრივი ქმედებების განხორციელების განსაზღვრაში.

გამოყენებული ლიტერატურა

სამეცნიერო ლიტერატურა

1. დაკავების მონიტორინგის ინსტრუმენტი-[ფაქტების-ფურცელი-წინასწარი-პატიმრობა.pdf \(penalreform.org\)](http://penalreform.org)რისკფაქტორებთან გამკლავება წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის,2015,მეორე გამოცემა;
2. ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016;
3. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი , 2005;
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015;
5. (რედ) ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი., ავტორთა კოლექტივი, თბილისი,2017
6. მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014
7. მჭედლიძე ნ.(რედ), ჭელიძე ლ.(მთარგ.), პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება), ევროპის საბჭო, 2004
8. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004
9. ვინგარტი (რედაქტორი), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები,ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993

საქართველოს საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
7. ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი
8. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

1. The European Convention on Human Rights (ECHR)
2. Police and Criminal Evidence "PACE" Act 1984

სასამართლო გადაწყვეტილებები:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო:

1. Lawless v. Ireland, 1960, Series A no. 3
2. Stepuleac v. Moldova, no. 73
3. Elci and others v. Turkey, no. 674
4. FOX, CAMPBELL AND HARTLEY V UK.
5. Mamedova v. Russia no. 7064/05
6. STÖGMÜLLER v. AUSTRIA
7. Mikiashvili v. Georgia, no. 18996/06
8. Clooth v. Belgium, no. 12718/87
9. Miranda v. Arizona, 384 US 436 (1966)

თბილისის სააპელაციო სასამართლო

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 04 ოქტომბრის N 1გ/1199-17 გადაწყვეტილება

თბილისის საქალაქო სასამართლო

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 აპრილის N10ა/2848 განჩინება

ბათუმის საქალაქო სასამართლო

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის
2015 წლის 3 დეკემბრის 10/ა-628/15წ განჩინება
ელექტრონული წყარო:

1 <https://matsne.gov.ge/>

3. <http://www.supremecourt.ge>

4. [მოკლედ უფლებების შესახებ \(myrights.gov.ge\)](http://myrights.gov.ge)

5. [საჯარო ინფორმაცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო \(police.ge\)](http://police.ge)

6. [Penal Reform International | Promoting fair and effective criminal justice](#)